დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში

2017 წლის ანგარიში

თბილისი
2018

„კოალიცია თანასწორობისთვის” არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს” ხელშეწყობით შეიქმნა და შვიდ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)”, „იდენტობა”, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი”, კავშირი „საფარი”, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია”, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)” და ”პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)”. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა.

გამოცემულია ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს” მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 5

ქალები 11

ბავშვები 19

ლგბტქი ადამიანები 27

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 35

აზერბაიჯანიდან დევნილი დისიდენტები და ჩაღლარის სკოლებთან დაკავშირებული პირები 41

რელიგიის თავისუფლება 49

ეთნიკური კუთვნილება და მოქალაქეობა 59

სექსმუშაკები 69

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები 75

შესავალი

აღნიშნული ანგარიში აანალიზებს 2017 წელს საქართველოში ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების რეალიზებას და ასახავს დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით არსებულ მდგომარეობას, ძირითად გამოწვევებს, სახელმწიფოს პოლიტიკას, კანონმდებლობასა და პრაქტიკას. დოკუმენტი „კოალიცია თანასწორობისთვის“ მიერ მომზადებული რიგით მეორე ანგარიშია, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ეფექტური ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას და თანასწორობის უზრუნველყოფას.

ანგარიში აანალიზებს ცალკეულ ჯგუფთა უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით წლის განმავლობაში განვითარებულ ძირითად მოვლენებს. იგი აერთიანებს ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ბავშვების, ლგბტქი ადამიანების, არადომინანტი რელიგიური ჯგუფების, ეთნიკური უმცირესობების, სექსმუშაკებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირების დისკრიმინაციისგან დაცვის უფლებას, ასევე – აზერბაიჯანიდან დევნილ დისიდენტებსა და ჩაღლარის სკოლებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ანგარიში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას სთავაზობს რეკომენდაციებს აღნიშნულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების ეფექტური რეალიზების მიზნით.

მიუხედავად დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსა და სახალხო დამცველის მზარდი პრაქტიკისა, 2017 წელს კვლავ არ მომხდარა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის ორგანოს, გაძლიერებისა და ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ეფექტიანი მექანიზმების შესაქმნელად. კანონმდებლობა კვლავ არ ითვალისწინებს დისკრიმინაციის ცალკეულ ფორმებს და არ უზრუნველყოფს მათგან დაცვის საშუალებებს, მათ შორის – სასამართლოს მეშვეობით. ეფექტიანი ინსტიტუციური და პროცედურული ინსტრუმენტების არარსებობა ხელს უშლის სახელმწიფოში თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით მკვეთრი პოზიტიური ცვლილებების მიღწევას.

საანგარიშო პერიოდში საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება და განახორციელა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები ძალადობისგან დაცვის მექანიზმების გასაფართოებლად. ამის მიუხედავად, ქალთა მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია კვლავ რჩება დაფარულ პრობლემად და სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით კვალავ ნაკლებად ეფექტურია. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ეკონომიკური გაძლიერება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

კვლავ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა უფლებების ეფექტიანად დაცვის საკითხი. განსაკუთრებით მწვავეა ქუჩაში მცხოვრებ ბავშვთა მდგომარეობა. მოგვარებას საჭიროებს ბავშვთა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების განხორციელება, ბავშვთა სიღარიბის დონე და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს კვლავ ყოველდღიურად უწევთ ბრძოლა გარემოს მისაწვდომობის, საზოგადოებაში ინკლუზიის, საჯარო თუ კერძო სერვისებით სარგებლობისთვის. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა და ქმედუნარიანობის რეფორმის ეფექტიანი განხორციელება.

2017 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანს, ინტერსექს და ქვიარ ადამიანთა უფლებრივი თანასწორობის თვალსაზრისით. საქართველოს კონსტიტუციაში შევიდა ცვლილება, რომლითაც ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის კავშირად განისაზღვრა. ჯგუფისთვის კვლავ ყველაზე დიდ პრობლემად რჩება დისკრიმინაცია, ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული ძალადობა და მასზე სამართალდამცავი ორგანოების არაეფექტური რეაგირება. ტრანსგენდერი ადამიანების სოციალური მდგომარეობა ისევ არსებითად მძიმეა. სექსმუშაკი ქალები, მათ შორის ტრანსგენდერი ქალები, წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს, რომლებიც განიცდიან სისტემურ ჩაგვრას და, ფაქტობრივად, ხელი არ მიუწვდებათ სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ატარებდა დისკრიმინაციულ პოლიტიკას საქართველოში მყოფი აზერბაიჯანიდან დევნილი დისიდენტების, ასევე, თურქეთის ხელისუფლების მიერ „პოლიტიკურ მტრებად“ გამოცხადებული თურქეთის მოქალაქეების მიმართ. არადომინანტი რელიგიური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა საკულტო ნაგებობების მშენებლობის დისკრიმინაციული პრაქტიკა და სახელმწიფოს მიერ საკულტო ნაგებობების გადაცემის პროცესი კონფესიური მესაკუთრის სათანადო გამოკვლევის გარეშე. მუსლიმი თემის წარმომადგენლები კვლავ მიუთითებენ საზღვრის კვეთის პროცესში რელიგიური დისკრიმინაციის პრაქტიკაზე. პრობლემას წარმოადგენდა მუსლიმი მოსწავლეების დისკრიმინაციული შევიწროების შემთხვევები სკოლაში თავსაბურავით სიარულის გამო. ეთნიკური უმცირესობების საკითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში არასაკმარისად დგას და მათი უფლებების დაცვის საკითხი კვლავ მეტწილად უსაფრთხოების პარადიგმით განიხილება.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს არ გააჩნია ერთიანი პოლიტიკა და ხედვა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის განსაზღვრული დაცვის გარანტიები არ ვრცელდება ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულ პირებზე.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ იმედს გამოთქვამს, რომ ანგარიში ხელს შეუწყობს ზემოხსენებულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების დარღვევის ხილვადობის გაზრდას და სახელმწიფოს პოლიტიკურ დღის წესრიგში მოქცევას, რაც არსებითია ქვეყანაში ეფექტური ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის, პოლიტიკის შემუშავებისა და თანასწორობის უზრუნველყოფისთვის.

ქალეგი

2017 წელს საქართველომ მოახდინა ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება. კონვენციის რატიფიცირების შედეგად განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გააფართოვა ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები, რითაც საქართველოს კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს დაუახლოვდა. გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე მსხვერპლთა მიმართვიანობა და სახელმწიფოს რეაგირების მაჩვენებელი. ამის მიუხედავად, საზოგადოებაში ღრმად დამკვიდრებული პატრიარქალური ნორმებისა და ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილების გამო, ქალთა მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია დღემდე რჩება დაფარულ პრობლემად და სახელმწიფოს პოლიტიკა და პრაქტიკა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით კვლავ ნაკლებად ეფექტურია. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და ეკონომიკური გაძლიერება ისევ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

საკანონმდებლო ცვლილებები და გამოწვევები

2017 წელს, სამოქალაქო საზოგადოების ადვოკატირების შედეგად, საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს განსაკუთრებული ზომების მიღებას მამაკაცების და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად.[1] აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვანი ნაბიჯია ფორმალური თანასწორობის მოდელიდან არსებით თანასწორობაზე გადასვლის პროცესში. სტამბოლის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებებით, გაფართოვდა ძალადობისგან დაცვის მექანიზმები და სერვისები, რომლებიც ამჟამად უკვე ვრცელდება არა მხოლოდ ოჯახში ძალადობის, არამედ ოჯახის გარეთ გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალებზეც.[2] სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ახალი დანაშაულები, როგორიცაა: ადევნება,[3] ქალის სასქესო ორგანოს დასახიჩრება[4] და

[1] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი №11.3. მუხლი ძალაში შედის მომავალი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ.

[2] კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი №2.

[3] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი №151[1].

[4] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი №133[2].

სტერლიზაცია თანხმობის გარეშე.[5] შეიცვალა გაუპატიურების[6] შესახებ დებულებები, თუმცა, ისინი სრულად მაინც არ ასახავს სტამბოლის კონვენციის მოთხოვნას და გაუპატიურების დეფინიციაში არ მოიაზრებს მსხვერპლის თანხმობის არარსებობას, როგორც დანაშაულის შემადგენელ ელემენტს. სექსუალური შევიწროება კვლავ არ არის კანონით დასჯადი. კანონმდებლობა დღემდე არ იცნობს ფემიციდის – გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობის – დეფინიციას.

ინსტიტუციური სიახლეები

2017 წელს დაანონსდა შინაგან საქმეთა სამინისტროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნა. დეპარტამენტის მიზანია, სხვა ფუნქციებთან ერთად, ზედამხედველობა გაუწიოს ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახური დანაშაულების და დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას,[7] პრობლემურ საქმეებზე არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით. აღნიშნული დეპარტამენტის ჩამოყალიბებას ქალთა მოძრაობა და „კოალიცია თანასწორობისთვის“ 2 წლის განმავლობაში ლობირებდნენ.

ქალთა მიმართ ძალადობა და ფემიციდი

მიუხედავად ბოლო წლებში გატარებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებებისა, ფემიციდის – გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობების – რიცხვი ქვეყანაში კვლავ შემაშფოთებელია. 2017 წელს ქალთა მკვლელობის 26 (14 – ჩადენილი ოჯახის წევრის მიერ), ხოლო ქალთა მკვლელობის მცდელობის 15 ფაქტი (12 – ჩადენილი ოჯახის წევრის მიერ) დაფიქსირდა. გამოძიება ასევე დაიწყო ოჯახური დანაშაულის ნიშნით ქალთა თვითმკვლელობამდე და თვითმკვლელობის მცდელობამდე მიყვანის 5 ფაქტზე.[8] სახელმწიფო კვლავ არ აღიარებს ფემიციდს, როგორც გენდერულ დანაშაულს – პრობლემურია ამ დანაშაულებში გენდერთან დაკავშირებული მოტივის გამოკვეთა და კვლავ არ არსებობს ფემიციდის სტატისტიკის წარმოების მექანიზმი.

[5] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი №133[1].

[6] სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი №137.

[7] შსს-ს ადამიანის უფლებათა დეპარტამენტი, იხ: http://police.ge/ge/ministry/structure-and-offices/adamianis-uflebata-datsvis-departamenti?sub=11451

[8] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2017წ. გვ. 145; იხ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მიმართვიანობა გაზრდილი და ძალადობისგან დაცვის სერვისები გაფართოებულია, კვლავ პრობლემად რჩება ძალადობის რისკის შეფასების ინსტრუმენტის არარსებობა, ძალადობის ესკალაციის პრევენცია, სამართალდამცავ ორგანოთა ინფორმირებულობა და სენსიტიურობა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.[9] აღსანიშნავია, რომ 112-ზე დაფიქსირებული შემთხვევები ოჯახში ძალადობის შესახებ კვლავ მკვეთრად აღემატება იმ შემთხვევათა რაოდენობას, რომლებზეც რეაგირება მოხდა: 2017 წელს 112-ზე შეტყობინების მაჩვენებელი იყო 24300, აქედან, დევნის მაჩვენებელია – 1986, შემაკავებელი ორდერი – 4370, ხოლო დამცავი ორდერი – 180.[10] შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული რეაგირება მოხდა შეტყობინებათა მხოლოდ მეოთხედზე (6536), დანარჩენ შემთხვევებზე კი (26286), უცნობია, თუ რა ზომა მიიღო სახელმწიფომ სავარაუდო ძალადობის ფაქტის შესწავლისა და აღკვეთისთვის.

სექსუალური შევიწროება

2017 წელი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სექსუალური შევიწროების, როგორც სოციალური პრობლემის, გამოაშკარავებისთვის. 2017 წლის გაზაფხულზე „საფარმა“ აწარმოა კამპანია „რა მოხდა ქუჩაში“, რომლის ფარგლებშიც 80-ზე მეტმა ქალმა ფეისბუქ-გვერდის საშუალებით საზოგადოებას გაუზიარა საკუთარი გამოცდილება. 2017 წლის შემოდგომაზე საქართველო შეუერთდა მსოფლიო კამპანიას #metoo – #მეც. ქალთა მოძრაობამ პეტიციით მიმართა პარლამენტს სექსუალური შევიწროების დარეგულირების მოთხოვნით, რასაც მოჰყვა ფართო განხილვები მედიაში. პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გენდერული თანასწორობის საბჭოს გადასცა აღნიშნული პეტიცია და გაუწია რეკომენდაცია, შეემუშავებინა შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივა.[11] მიუხედავად საზოგადოების მაღალი მხარდაჭერისა, პარლამენტს სექსუალური შევიწროების კანონპროექტზე ჯერ არ უმსჯელია.

[9] იხ. ზემოთ, გვ. 141-144.

[10] იხ. ზემოთ, გვ. 143.

[11] პეტიცია იხ: https://manifest.ge/main/item/1755.

პოლიტიკური მონაწილეობა

ამჟამად პარლამენტში წევრთა მხოლოდ 16%-ია ქალი. 2017 წელს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით, 59 მერიდან ქალი არის მხოლოდ ერთი, ხოლო საკრებულოებში არჩეული დეპუტატებიდან მხოლოდ 13%-ია ქალი.[12] 2017 წლის 12 ივნისს, 37,455-მა ამომრჩეველმა საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართა, რომელიც გულისხმობს საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტიულ სიებში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის კანდიდატის წარდგენას. ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, სავალდებულო გენდერული კვოტების კანონპროექტს ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვს.[13] 2017 წელს აღნიშნულმა კანონპროექტმა წარმატებით გაიარა საკომიტეტო მოსმენები,[14] თუმცა, საბოლოოდ, მხარდაჭერა ვერ მიიღო.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და ქალთა მიმართ ეკონომიკურ ძალადობასთან ბრძოლა არ წარმოადგენს ქვეყნის პრიორიტეტს. ეს ვლინდება სახელმწიფოს სტრატეგიულ-ეკონომიკური დოკუმენტების ანალიზით, სადაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართული ღონისძიებები და პოლიტიკა არ ფიგურირებს.[15] ამასთან, კორპორატიულ სექტორშიც დაბალია ცნობიერების დონე ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელობასთან დაკავშირებით. მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, შეზღუდული აქვთ არჩევანის თავისუფლება და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, მათ თანასწორად არ მიუწვდებათ ხელი ფინანსებსა და სხვა რესურსებზე.[16]

[12] იხ. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ვებგვერდი: http://cesko.ge/statistic/

[13] ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის კვლევის შედეგები, 2017წ. იხ: https://www.ndi.org/publications/ndi-poll-knowledge-and-expectations-georgian-parliament-low-majority-support

[14] იხ. კანონპროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“: https://info.parliament.ge/#law-drafting/14155

[15] ქ. მარგველაშვილი, ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში - არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი, საფარი, 2017წ. გვ. 22.
იხ: http://sapari.ge/wp-content/uploads/2017/12/woman-economic-geo-www.pdf

[16] იხ. ზემოთ.

რეკომენდაციები:

- სისხლის სამართლის კოდექსით განისაზღვროს ფემიციდი – გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალის მკვლელობა (ცალკე მუხლის ან განზრახ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოების სახით), რომელიც გაითვალისწინებს დანაშაულის სიმძიმის შესაბამის სანქციას;
- პროკურატურის მიერ ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულები დაკვალიფიცირდეს მათი სიმძიმის შესაბამისად (მათ შორის, დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის მეშვეობით) და მოხდეს მსხვერპლთა უზრუნველყოფა დაცვის ეფექტური საშუალებებით;
- სახელმწიფომ განახორციელოს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონით გათვალისწინებული ძალადობის პრევენციის მექანიზმის ეფექტური დანერგვა სხვადასხვა უწყების ჩართულობით;
- პარლამენტმა უზრუნველყოს სექსუალური შევიწროების საკანონმდებლო რეგულირება ისე, რომ აიკრძალოს სექსუალური შევიწროვება როგორც საჯარო სივრცეში, ისე დასაქმების ადგილზე;
- პარლამენტმა მიიღოს კანონი საქართველოს პარლამენტსა და თვითმმართველობის ორგანოებში სავალდებულო კვოტების შესახებ, რათა გაიზარდოს ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა;
- სამთავრობო პროგრამებში გაიწეროს კონკრეტული ნაბიჯები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად.

ბავშვები

ბავშვთა უფლებების ეფექტურად დაცვის საკითხი საქართველოში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. მიუხედავად სახელმწიფოს ვალდებულებისა, უზრუნველყოს ბავშვის უფლებათა სრულყოფილი დაცვა, რიგი საკითხებისა სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ცვლილებების განხორციელების გარეშე რჩება.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის[17] თანახმად, განსაკუთრებით მწვავეა ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა. ამ ბავშვებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ნაკლებად ეფექტიანია, განსაკუთრებით, განათლების უფლების განხორციელების, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით. ხშირია შრომის გამო სკოლის მიტოვების შემთხვევები. სახალხო დამცველის 2017 წლის მდგომარეობის შეფასების ანგარიშის თანახმად, 2016-2017 სასწავლო წელს სტატუსი შეუჩერდა 5713 არასრულწლოვანს. მათგან 3454 ბავშვს სავალდებულო საბაზო საფეხურის დასრულებამდე, ხოლო 2259 ბავშვს – საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ.[18] ამავე ანგარიშის მიხედვით, აღინიშნა ბავშვების სისხლში ტყვიის შემაშფოთებელი მაჩვენებელი.[19] ასევე, უკიდურესად მძიმეა ბავშვთა სიღარიბის დონე. სახელმწიფო პროგრამები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ოჯახის დაცვას სიღარიბისგან და კვლავ პრობლემად რჩება არასრულწლოვნების ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაც.[20]

ინკლუზიური განათლების მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გარკვეული ნაბიჯების გადადგმის მიუხედავად, კვლავ პრობლემას წარმოადგენს მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების, კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსმ) ბავშვების განათლების უფლება. მოსწავლისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის მისანიჭებლად, ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოსთვის განცხადებით მიმართვაზე უფლებამოსილი პირი მხოლოდ მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელია. სკოლას/პედაგოგს არ აქვს ვალდებულება, საკუთარი ინიციატივით, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდინოს რეაგირება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის

[17] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, 2016, გვ. 41; იხ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4471.pdf

[18] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2017, გვ. 252; იხ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

[19] იხ. ზემოთ. გვ. 249.

[20] იხ. ზემოთ. გვ. 256.

ფაქტზე და უზრუნველყოს მოსწავლის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვის ხელშეწყობა.[21] შესაბამისად, თუ მშობელი უარს ამბობს სტატუსის განსაზღვრაზე, ბავშვს ერთმევა შესაძლებლობა, მიიღოს მის ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული განათლება. იგი იძულებულია, მიჰყვეს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელიც მისთვის არაეფექტური იქნება და რეალურად ვერ უზრუნველყოფს საჭირო ზოგადი განათლების მიღებას.

ზემოხსენებული რეგულაცია ირიბი დისკრიმინაციის საფრთხეს ქმნის სსმ ბავშვთა მიმართ, რამდენადაც, ბავშვები, რომელთაც სწავლების პროცესში ესაჭიროებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მშობლის კეთილი ნების არარსებობის შემთხვევაში, ვერ იღებენ თავიანთ საჭიროებაზე მორგებულ განათლებას. არამედ, ისინი ზოგად განათლებას იღებენ საერთო სასწავლო გეგმის მიხედვით, სხვა ბავშვების მსგავსად, რომელთაც არ აქვთ ინდივიდუალური საჭიროებები. შედეგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, შესაძლოა, ფაქტობრივად, განათლების მიღების მიღმა დარჩნენ.

ამასთან, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან სპეციალური საგანმანათლებლო სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმით ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფა. სახელმწიფოს, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სრულად ჩამოცილებული აქვს პასუხისმგებლობა ბავშვის ძალადობისგან დაცვისა და შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი მინდობილი აქვს მხოლოდ ბავშვის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მაშინ, როცა სამინისტროს გააჩნია მსგავს შემთხვევებზე ეფექტური რეაგირებისა და, ბავშვის ძალადობისგან დაცვის მიზნით, შესაბამისი დაწესებულებების საქმის კურსში ჩაყენების ვალდებულება.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებულ მდგომარეობას, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის[22] თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახეზეა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის ფორმები როგორც მოსწავლეებს შორის, ისე უფროსების, განსაკუთრებით, მოსწავლეებთან აქტიურ კომუნიკაციაში მყოფი პირების მხრიდან. ამასთან, მონიტორინგმა გამოკვეთა სტერეოტიპული, რიგ შემთხვევაში, დისკრიმინაციული დამოკიდებულებები მოსწავლეებსა და მასწავლებლებში.

[21] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №01, 05.01.2016.

[22] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა“ (2017), გვ. 28; იხ: http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/zogadsaganmanatleblo-dawesebulebebshi-moswavleta-mimart-dzaladobis-kutxit-arsebuli-mdgomareoba.page

გამოწვევას წარმოადგენს არასრულწლოვნების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე. კერძოდ, მხოლოდ 14 წელს მიღწეულ ბავშვს აქვს უფლება, დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. სანოტარო წესით დამოწმებულ გარიგებაში კი, 16 წლამდე არასრულწლოვანი მონაწილეობს მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.[23] იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვს სურს კანონიერი წარმომადგენლის წინააღმდეგ სამართლებრივი პროცესის დაწყება, მას არ აქვს სასურველ პირზე მინდობილობის გაცემის უფლებამოსილება. ბავშვის სახელზე მინდობილობის გაცემის უფლება აქვს მხოლოდ კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ კანონიერი წარმომადგენელი სოციალური მომსახურების სააგენტოა, მხოლოდ მას აქვს ამგვარი მინდობილობის გაცემის შესაძლებლობა.[24] აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 14 წლამდე არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის შემთხვევაში, ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას, დაენიშნოს მისთვის სასურველი წარმომადგენელი.

მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით,[25] ზემოაღნიშნული რეგულაციით კი, 14 წლამდე ბავშვი რჩება დაცვის კონსტიტუციური ფარგლების მიღმა. თუ მშობელი არღვევს ბავშვის უფლებას, შესაძლებელია, თავად არასრულწლოვანმა ან დაინტერესებულმა პირმა მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის ინტერესების დაცვის მოთხოვნით.[26] თუმცა, როდესაც ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი სოციალური მომსახურების სააგენტოა და მისი მოქმედების კანონიერება საეჭვოა, არ არსებობს 14 წლამდე ბავშვის უფლების დაცვის ნეიტრალური, ეფექტიანი, სამართლებრივი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ბავშვი შეძლებდა მისთვის მინიჭებული უფლებების სრულად განხორციელებას.

აღნიშნული საკითხების იდენტიფიცირება მოხდა PHR-ის სამართლებრივი პრაქტიკიდან. ერთ-ერთი საქმის ფარგლებში ორგანიზაციამ განცხადებით მიმართა სახალხო დამცველს, რომელმაც გაიზიარა PHR-ის მოსაზრება და დაადგინა ირიბი დისკრიმინაცია ბავშვების მიმართ, რადგან საკანონმდებლო ნორმა 14-18 წლის ასაკის ბავშვებს სასამართლოსადმი მიმართვის და ადვოკატის ყოლის ეფექტურ მექანიზმს არ სთავაზობს. სახალხო დამცველმა ასევე შეისწავლა 14 წელს მიუღწეველი ბავშვები-

[23] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 81[1].

[24] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 81.

[25] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.

[26] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 1198[1].

სთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საკითხი და აღნიშნულ შემთხვევაზეც დაადგინა ირიბი დისკრიმინაცია კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ბავშვებს უზღუდავს სასამართლოსადმი მიმართვას დამოუკიდებლად, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას, მომზადდეს და განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გაითვალისწინებს ყველა ასაკის ბავშვისთვის, სასამართლოსადმი მიმართვის მიზნით, უფასო იურიდიული დახმარების ან/და ნათესავის, სხვა ახლობელი ადამიანის ან ადვოკატის მიერ დაცვის განხორციელების შესაძლებლობას, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე.[27]

პრობლემურია 16 წლამდე მოზარდების ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების კანონიერების საკითხიც. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობით, 16 წლამდე ბავშვების ნებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობისთვის საკმარისია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.[28] შესაბამისად, თუკი 16 წლამდე პირი არ ეთანხმება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებას, ადგილი აქვს არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მომსახურებას, რომელიც, თავისი არსით, წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვას. კანონმდებლობა 16 წლამდე პირის არანებაყოფლობითი მკურნალობის გადაწყვეტის პროცესში არ ითვალისწინებს მოსამართლის მონაწილეობას, მაშინ, როდესაც 16 წელს მიღწეული პირისთვის იძულებითი მკურნალობის დანიშვნის გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის კომისიის დასკვნის საფუძველზე.[29] შესაბამისად, პროცედურა დისკრიმინაციულია 16 წელს მიუღწეველ ბავშვთა მიმართ, რადგან, განსხვავებით 16 წელს ზემოთ მყოფი პირებისგან, არ არსებობს ბავშვის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასების ნეიტრალური, დამოუკიდებელი ინსტიტუციურ-სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც განიხილავდა ნებაყოფლობითი სტაციონარული მკურნალობის შესაბამისობას ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან. აღნიშნული მიდგომა ქმნის 16 წლამდე პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში თვითნებურად მოთავსების საფრთხეს.

ასევე, პრობლემას წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არას-

[27] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია 13.03.2018; http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saqartvelos-saxalxo-damcvelma-bavshvebis-sasamartlosadmi-xelmisawvdomobis-maregulirebeli-kanonmdebloba-diskriminaciulad-miichnia.page.

[28] საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 8.

[29] საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მუხლი 10.

რულწლოვანთა მოთავსების წესი,[30] რომლის თანახმადაც, 4-14 წლის პაციენტები თავსდებიან ბავშვთა განყოფილებაში, 15-17 წლის პაციენტები კი – მოზარდთა განყოფილებაში, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, 15-17 წლის ასაკის არასრულწლოვნები თავსდებიან მოზრდილთა განყოფილებაში. არსებული ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით, 15-17 წლის ასაკის მოზარდებისთვის მხოლოდ ათი საწოლია გამოყოფილი, რის გამოც, შესაძლებელია, აღნიშნული ასაკის პაციენტთა დიდი ნაწილი სწორედ მოზრდილთა განყოფილებაში განთავსდეს. ვინაიდან ფსიქიატრიული დაწესებულება წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის ადგილს, მასზე ვრცელდება ბავშვთა უფლებების კონვენციის[31] ის ჩანაწერი, რომელიც ეხება თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის ადგილებს. ბავშვის უფროსებისგან განცალკევებით მოთავსება სავალდებულოა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის. ზემოაღნიშნული გამონაკლისი კი, ცალსახად არღვევს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნების თანასწორობის უფლებას და არის დისკრიმინაციული.

[30] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №87/ნ, 20.03.2007, მუხლი 3, პუნქტი 13.

[31] კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, მუხლი 37.

რეკომენდაციები:

- კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომელიც ბავშვის ინკლუზიურ განათლებაში ჩართვის პროცესში პასუხისმგებელ პირად, მშობელთან ერთად, განსაზღვრავს სახელმწიფოს შესაბამის უწყებას (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო). შესაბამისად, მშობლის მიერ ბავშვის ინტერესების უგულებელყოფის შემთხვევაში, სკოლას დაეკისრება ვალდებულება, მოახდინოს სათანადო რეაგირება და უზრუნველყოს ბავშვის ჩართვა ინკლუზიურ განათლებაში.

- კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რომელიც, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზაციას.

- შემუშავდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც 16 წლამდე პირების არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული მკურნალობისას გაითვალისწინებს სასამართლოს მონაწილეობის სავალდებულოობას. ამასთან, განხორციელდეს ცვლილებები ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არასრულწლოვანთა მოთავსების წესში იმგვარად, რომ 15-17 წლის ასაკის მოზარდების მოთავსება მოხდეს მხოლოდ მოზარდთა განყოფილებაში, ხოლო სახელმწიფომ უზრუნველყოს აღნიშნული ასაკის პაციენტებისთვის სათანადო სერვისის/მომსახურების მიწოდება.

ლგბტქი ადამიანები

2017 წელი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანს, ინტერსექს და ქვიარ (ლგბტქი) ადამიანთა უფლებრივი თანასწორობის თვალსაზრისით – საქართველოს კონსტიტუციაში განხორციელებული ცვლილებით (რომელსაც საკონსტიტუციო კომისიამ კენჭი უყარა და 2017 წლის 22 აპრილს დაამტკიცა), შეიზღუდა 36-დე მუხლის შინაარსი, რომელიც მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობის პრინციპს შეიცავდა. კონსტიტუციით, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის კავშირად განისაზღვრა,[32] რაც სახელმწიფოში ინსტიტუციური/პოლიტიკური ჰომოფობიის ცალსახა დემონსტრაციას წარმოადგენს. საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, კონსტიტუციის ახალი 30-ე მუხლი, რომელიც ქორწინებას განსაზღვრავს, არცერთ შემთხვევაში არ უნდა განიმარტოს, როგორც ერთი და იმავე სქესის ადამიანთა პარტნიორობის აკრძალვა.[33] ამის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტის მიერ ამ დრომდე არ ყოფილა ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც დაარეგულირებდა საკითხს ერთი და იმავე სქესის წყვილების სამოქალაქო კავშირის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ, წინა წლების მსგავსად, საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესს თან სდევდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეების მხრიდან ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენება მედიაში. ჰომოფობიური სიძულვილის ენა გამოიყენებოდა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზეც.[34] ასევე, ჰომოფობიური სიძულვილის ფონზე მიმდინარეობდა 2017 წელს ულტრანაციონალისტური ჯგუფების მიერ ჩატარებული შეკრებები, მათ შორის, ე.წ. „ქართველთა მარში“.[35]

მნიშვნელოვან მოვლენად უნდა შეფასდეს 2017 წლის 17 მაისს ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის (IDAHOT) აღნიშვნა ლგბტქი აქტივისტების, სათემო ორგანიზაციებისა და მათი მხარდამჭერების მიერ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ

[32] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 30 (1), აღნიშნული ნორმა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ შევა ძალაში, იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811818

[33] CDL-AD(2017)013-e, Georgia–Opinion on the draft revised Constitution, §60. იხ: http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2017)013-e

[34] 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მედიამონიტორინგის შედეგები, EU/UNDP Georgia 2017. იხ: http://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/media-monitoring-of-the-2017-local-self-government-elections-in-.html

[35] მაგალითად, Facebook-ში ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტიურობის მონიტორინგი „ქართველთა მარშის“ წინ. იხ: http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/71

მოხერხდა აქციის ორგანიზატორთა და მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. ამის მიუხედავად, შეკრება არსებითად ლიმიტირებულ პირობებში, პოლიციის მიერ აქციის მონაწილეთა სრული იზოლირების მეშვეობით, შეკრების შინაარსსა და ფორმაზე დაწესებული შეზღუდვებით გაიმართა, რის გამოც, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ შეკრებისა და გამოხატვის უფლების სრულყოფილად განხორციელების პრეცედენტად.

მიუხედავად 17 მაისს შეკრების შესაძლებლობისა, წინა წლების მსგავსად, ლგბტქი ადამიანებისთვის ყველაზე დიდ პრობლემად რჩება მათ მიმართ ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილით მოტივირებული ძალადობა და დისკრიმინაცია. სამწუხაროდ, სამართალდამცავი სისტემის მიმართ ნდობის პრობლემა კვლავ აქტუალურია თემის წევრებისთვის. შესაბამისად, რევიქტიმიზაციისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების შიშის გამო, ისინი, როგორც წესი, თავს იკავებენ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებისგან.

არსებითად პოზიტიურად უნდა შეფასდეს საანგარიშო წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ადამიანის უფლებების დაცვის დეპარტამენტის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ოჯახური დანაშაულის, ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის, ტრეფიკინგის, არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებზე დროული რეაგირებისა და მიმდინარე გამოძიების ეფექტიანობა.[36] მნიშვნელოვანია, დეპარტამენტმა გაითვალისწინოს პრევენციული, ანალიტიკური და მსხვერპლზე ორიენტირებული მუშაობის კრიტიკული მნიშვნელობა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებებით უზრუნველყოს.

ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს პროკურატურის მიერ მიღებული ზომები დისკრიმინაციულ დანაშაულებთან ბრძოლის პროცესში. ეს ზომები გულისხმობს ამგვარ დანაშაულებთან ბრძოლის სისტემატიზების, სტატისტიკის წარმოების, დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში პროკურატურის მიერ შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირებისა და ბრალის შესახებ დადგენილე-

[36] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №1, 2018 წლის 12 იანვარი, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“, იხ: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3999709

ბაში ინკლუზიის პრაქტიკის დანერგვას.[37]

საქართველოს მთავარი პროკურატურის თანახმად, 2017 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. ამათგან 4 პირს ბრალი წარედგინა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 4 პირს – გენდერული იდენტობის ნიშნით.[38] თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ასახულ სტატისტიკურ ინფორმაციას კვლავ აჭარბებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დოკუმენტირებულ დანაშაულთა და ინციდენტთა რაოდენობა და სიმძიმის ხარისხი. 2017 წელს WISG-მა 40-მდე, ხოლო EMC-მ 10-მდე ამგვარი შემთხვევის დოკუმენტირება განახორციელა. მიმდინარე გამოძიების პროცესში სიძულვილის სათანადო იდენტიფიცირება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მაგალითისთვის, ტრანსფობიური მოტივის იდენტიფიცირება ვერ მოხდა ტრანსგენდერი ქალის – ზიზი შეყილაძის მკვლელობის საქმეში.[39]

არაეფექტიანი საპოლიციო რეაგირებისა და გამოძიების პრობლემის გარდა, ჰომო/ბი/ტრანსფობიურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულებში ხშირად იკვეთება პოლიციის მხრიდან ბრალის დაზარალებულებზე გადატანისა და მსხვერპლთა დაკავების ტენდენცია,[40] რაზეც ასევე მსჯელობს სახალხო დამცველი.[41] ამგვარი ძალადობრივი პრაქტიკის ცალსახა დემონსტრაციას წარმოადგენს 2017 წლის 25 აგვისტოს ქ. ბათუმში მესამე პირებისა და პოლიციის მხრიდან თ. კუსიანის, ლ. ბერიანიძისა და მისი თანმხლები სამი პირის შეურაცხყოფისა და ძალადობის ფაქტები. აღნიშნული ინციდენტის დროს თ. კუსიანი და ლ. ბერიანიძე დაექვემდებარნენ პოლიციის მხრიდან გულგრილობას, ძალადობას, ჰომოფობიური სიძულვილის ენის გამოყენებასა და ღირსების შემლახველ მოპყრობას.[42]

[37] საქართველოს მთავარი პროკურატურის ანაგრიში, 6 თებერვალი, 2018, გვ. 45; იხ: http://pog.gov.ge/res/docs/6tebervalimtavariprokurorisangarishi.pdf

[38] იხ. ზემოთ.

[39] ზიზი შეყილაძის მკვლელობაში ბრალდებულს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, WISG. იხ: http://women.ge/news/newsfeed/130/

[40] ბახტაძე ქ. „არაღიარებული ძალადობა, სამართალწარმოების ანგარიში“, WISG, 2017, გვ. 35-45, 59-70, იხ: http://women.ge/data//Unidentified_Violence_WISG_2017.pdf

[41] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, გვ. 49, 2017. იხ: http://ombudsman.ge/uploads/other/4/4451.pdf

[42] სახალხო დამცველის განცხადება თანასწორობის მოძრაობის წევრთა მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. იხ: http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcvelis-gancxadeba-tanasworobis-modzraobis-wevrta-mimart-ganxorcielebuli-savaraudo-arasatanado-mopyrobis-faqtze.page

ამ დრომდე გამოძიების პროცესში რაიმე პროგრესი არ შეიმჩნევა. ასევე, არაერთი მიმართვის მიუხედავად, ლ. ბერიანიძესა და თ. კუსიანს არ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი.[43] გარდა ამისა, ლგბტქი აქტივისტების კ. ბიწაძისა და ბ. გაბადაძის მიმართ ადგილი ჰქონდა ულტრანაციონალისტური ჯგუფების წევრებისა და კერძო პირების მხრიდან სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ საჯარო პოსტების, კომენტარებისა და პირადი შეტყობინებების სახით განხორციელებულ ძალადობასა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებს.[44] გამოძიების დაწყების მიუხედავად, შსს-ს არ მიუღია ეფექტიანი ზომები მათ დასაცავად და დაზარალებულის სტატუსის მისანიჭებლად.[45]

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა ლგბტქი პირების მიმართ ოჯახის წევრების მხრიდან ჩადენილ დანაშაულებში (მათ შორის, იძულებითი ქორწინების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის, „იძულებითი მკურნალობის“, ცემისა და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები[46]) სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის (სოგი) მოტივის დადგენის პრობლემურობა, ასევე, გამოწვევას წარმოადგენდა ოჯახში ძალადობისგან დაცვისა და დახმარების სერვისების სენსიტიურობისა და ეფექტიანობის საკითხი.[47]

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსგენდერი ადამიანების სოციალური მდგომარეობა კვლავ საკმაოდ მძიმეა. 2017 წელს WISG-მა იმუშავა ორი ტრანსგენდერი პირის საქმეზე, რომლებმაც ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართეს სახელმწიფოს მიერ გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე უარის გამო. ტრანსგენდერი ადამიანების სისტემურ დისკრიმინაციას, პირველ რიგში, განაპირობებს გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის არარსებობა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ითვალისწინებს სქესის შეცვლის შესაძლებლობას,[48] კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული სქესის შეცვლისა და სქესის კვლავ მინიჭების სამედიცინო პროცედურები. ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დანერგილი პრაქტიკის თანახმად, ტრანსგენდერი ადამიანები ვალდებულნი არიან, ჩაიტარონ იძულებითი, ინტრუზიული და, ამავე დროს, ძვირადღირებული სამედიცინო პროცედურები პირა-

[43] აღნიშნულ საქმეს, EMC-ისთან ერთად, „თანასწორობის მოძრაობა“ და „საია“ აწარმოებენ.

[44] EMC: ლგბტქი აქტივისტების – კობა ბიწაძისა და ბექა გაბადაძის მიმართ ძალადობაზე მუქარის ფაქტებს ეხმიანება. იხ: https://emc.org.ge/2017/11/10/emc-372/

[45] აღნიშნულ საქმეს EMC აწარმოებს.

[46] WISG-ის საქმისწარმოების ანგარიში.

[47] EMC-ის საქმისწარმოების პრაქტიკა.

[48] საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, მუხლი №78.ზ.

დობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის შესახებ ჩანაწერის შესაცვლელად.[49]

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ლგბტქი ადამიანებისთვის ჯანდაცვის სერვისებით სრულყოფილად სარგებლობა კვლავ პრობლემას წარმოადგენს. ჯანდაცვის პერსონალის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულებისა და დისკრიმინაციისაგან თავის დასაცავად ლგბტქი თემის წევრები ხშირად არ ამჟღავნებენ თავიანთ იდენტობას. ზოგჯერ ისინი უარს ამბობენ გეგმიური სამედიცინო ვიზიტის განხორციელებაზე, მათ შორის, რეპროდუქციული კუთხით, რაც მათ ხელს უშლის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე წვდომასა და ჯანდაცვის უფლებით სრულყოფილად სარგებლობაში.[50] აღნიშნული, სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებულია სქესობრივი განათლების არარსებობითა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობების სიმწირით.

[49] საქართველოს მიერ ტრანსგენდერი მამაკაცის სქესის სამართლებრივი აღიარების უარყოფა ევროპულ სასამართლოში განიხილება. იხ: http://ehrac.org.uk/wp-content/uploads/2017/08/AD-application-submitted-Georgian.pdf

[50] იხ. ე. აღდგომელაშვილი, „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე“, გვ. 22.

რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობამ აღიაროს ჰომოფობიის მძიმე სოციალური ეფექტი და, საზოგადოებაში თანასწორობის იდეების გაძლიერების მიზნით, უზრუნველყოს სისტემური საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შორის, ფორმალური განათლების სისტემაში სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სათანადო ინტეგრირების ხელშეწყობით.

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელმაც, მნიშვნელოვანია, მოიცვას არა მხოლოდ საგამოძიებო პროცესზე ზედამხედველობა, არამედ მსხვერპლის დაცვასა და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული სისტემური სამუშაოები.

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინირებით, უზრუნველყოს სწრაფი, გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი რეგულაციებისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის შექმნა, რაც ტრანსგენდერ ადამიანებს საშუალებას მისცემს, შეცვალონ გენდერული მარკერი სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულების მიერ გაცემულ ყველა დოკუმენტში. მნიშვნელოვანია, რომ მითითებული პროცედურა მკაფიოდ იყოს გამიჯნული სამედიცინო ტრანზიციის პროცესისგან.

- სახელმწიფომ უზრუნველყოს ლგბტქი ადამიანთა მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სრულყოფილად სარგებლობა და მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულების ეფექტურად განხორციელება.

- ლგბტქი ადამიანებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არადისკრიმინაციული, სტიგმისა და სტერეოტიპებისგან თავისუფალი სამედიცინო სერვისების დანერგვის, ასევე, სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების პერმანენტული აქტივობების მეშვეობით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხი კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. სახელმწიფომ დღემდე ვერ უზრუნველყო მოწყვლადი ჯგუფების მძიმე უფლებრივი მდგომარეობის შემსუბუქება. მწვავედ დგას ასევე დისკრიმინაციული მოპყრობის პრობლემა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყოველდღიურად უწევთ ბრძოლა გარემოს მისაწვდომობის, ინკლუზიური, საჯარო თუ კერძო სერვისებით სარგებლობისთვის. თანასწორობის კუთხით არსებულ მრავალ გამოწვევათაგან, ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ მსჯელობისას, ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს გონივრული მისადაგების პრინციპზე. გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის" თანახმად,[51] დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად დასახელებულია – უარი გონივრულ მისადაგებაზე, თუმცა, ამის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებლობა დღემდე არ იცნობს გონივრული მისადაგების ცნებას, რაც პრობლემას ქმნის დისკრიმინაციის სპეციალური ფორმების იდენტიფიცირებისა და აღკვეთის კუთხით, ასევე, აფერხებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაციისგან ეფექტური დაცვის პროცესს.

პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ არსებული კანონმდებლობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სოციალურ პაკეტს განუსაზღვრავს, მცირე გამონაკლისის გარდა, საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში, უწყვეტს ფულად სოციალურ გასაცემელს.[52] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელიც დისკრიმინაციასთან ბრძოლის ეროვნულ მექანიზმს წარმოადგენს, დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სახელმწიფო უწყებებს, შეცვალონ სოციალური პაკეტის გაცემის მარეგულირებელი ის ნორმები, რომლებიც მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვისა) და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საჯარო საქმიანობის განხორციელებისას სოციალური პაკეტის მიღებას უკრძალავს, განსხვავებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სხვა ჯგუფებისა და კერძო სექტორში დასაქმე-

[51] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2.

[52] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ", მუხლი 6.4. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717 ; ბოლოს ნანახია: 12.02.2018.

ბული იმავე შეზღუდვის მქონე პირებისგან.[53] ამის მიუხედავად, მთავრობას ამ დრომდე არ გაუთვალისწინებია სახალხო დამცველის რეკომენდაცია და დისკრიმინაციული რეგულაცია დღემდე მოქმედებს.

სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელება. დისკრიმინაციის წამახალისებელია მხარდამჭერის დანიშვნის საჭიროების სამედიცინო შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების არსებული პრაქტიკა.[54] კერძოდ, ფსიქოსოციალური შეფასებისას, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო გასცემს ბლანკეტურ დასკვნას, რომ პირს მხარდამჭერი ესაჭიროება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, მაშინ, როცა პირი რეალურად არ საჭიროებს მხარდაჭერის მსგავს ფარგლებს. თავის მხრივ, სასამართლო სრულად იზიარებს ექსპერტიზის დასკვნას და აღნიშნული პირის ინდივიდუალურ ფსიქოსოციალურ საჭიროებებს ყოველმხრივ არ იკვლევს. ქმედუნარიანობის რეფორმის იმპლემენტაციის პროცესში ცალკეულ საკითხებთან მიმართებით პრობლემურია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხიც. მხარდაჭერის მიმღები პირები ამ ეტაპამდე ვერ ახერხებენ საფინანსო დაწესებულებიდან (ბანკები) კუთვნილი პენსიის მიღებას. ბანკებს არ აქვთ შემუშავებული მიდგომა, თუ როგორ უნდა მოხდეს მხარდაჭერის მიმღები პირებისთვის საბანკო სერვისების მიწოდება ისე, რომ აღნიშნულმა პირებმა სრულად შეძლონ თავიანთი უფლებების რეალიზება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით, იმ პირთა მოთავსების კანონიერების საკითხზეც, რომელთაც აქვთ ფსიქიკური დიაგნოზი და წარსულში მოთავსებულნი იყვნენ მსგავსი ტიპის დაწესებულებაში. მსგავსი შემთხვევის არსებობისას, საექსპერტო კომისია და სასამართლო მოქმედებენ წინასწარი განწყობით, რომ პიროვნების ქცევა იმთავითვე აღქმული უნდა იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების ნიშნად და, გარემოებების სათანადო გამოკვლევის გარეშე, ამ პირს არანებაყოფლო-

[53] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია „მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ“, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4495.pdf , ბოლოს ნანახია: 12.02.2018.

[54] საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 21 ივნისის ზოგადი წინადადება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, იხ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4616.pdf

ბით განათავსებენ სტაციონარში.[55] სასამართლო არ მსჯელობს, პირის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსება ხომ არ არის პროვოცირებული ოჯახის მიერ, კერძოდ, ხომ არ აქვს ადგილი ფსიქოლოგიურ ძალადობას ოჯახის რომელიმე წევრის მხრიდან, მით უმეტეს, რომ ქვეყანაში არსებობს მსგავსი მანკიერი პრაქტიკა.[56] შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან საკითხისადმი მსგავსი მიდგომა იწვევს დისკრიმინაციულ მოპყრობას ფსიქიკური დიაგნოზის ნიშნით.

[55] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 6 ნოემბრის №3ბ/2442-17 ბრძანება, იხ: http://phr.ge/home/content?content_id=657

[56] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში / 2016 / „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 632-633.

რეკომენდაციები:

- საქართველოს პარლამენტმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანოს ცვლილება, რომლის თანახმადაც, „გონივრული მისადაგების“ პრინციპის გამოყენება განისაზღვრება, როგორც ვალდებულება, ხოლო მისი გამოუყენებლობა შეფასდება, როგორც დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე;
- საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობიდან მოიხსნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჯარო სამსახურში დასაქმებისას სოციალური პაკეტის შეზღუდვის თაობაზე არსებული დისკრიმინაციული რეგულაცია;
- საერთო სასამართლოებისა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მხრიდან პირის ფსიქოსოციალური საჭიროების შეფასებისას, მოხდეს ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება;
- საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უზრუნველყოს მხარდაჭერის მიმღები პირების საბანკო დაწესებულებებთან ურთიერთობის იმგვარი რეგულირება, რომ, ერთი მხრივ, განხორციელდეს მათი უფლება სამართლებრივ ქმედუნარიანობაზე, ხოლო მეორე მხრივ, მოხდეს მათი დაცვა ყველა შესაძლო ზიანისგან;
- საერთო სასამართლოებისა და ექიმ-ფსიქიატრთა საექსპერტო კომისიის მხრიდან პირის ფსიქიკური საჭიროების შეფასებისას მოხდეს საკითხის ყოველმხრივი გამოკვლევა, რათა არანებაყოფლობით მკურნალობას არ დაექვემდებაროს პირი მხოლოდ იმის გამო, რომ მას აქვს ფსიქიკური დიაგნოზი და წარსულში ერთხელ უკვე ჰქონდა არანებაყოფლობითი მკურნალობის გამოცდილება. ასევე, სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ფსიქიკური დიაგნოზის მქონე ადამიანთა მიმართ სტერეოტიპული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად.

აზერბაიჯანიდან დევნილი დისიდენტები და ჩაღლარის სკოლებთან დაკავშირებული პირები

ბაანგარიშო პერიოდში ნეგატიურად გამოიკვეთა საქართველოში მყოფი აზერბაიჯანიდან დევნილი დისიდენტების, ასევე, თურქეთის მოქალაქეების იმ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი, რომელიც თურქეთის ხელისუფლებამ 2016 წლის ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემდეგ „პოლიტიკურ მტრად" გამოაცხადა. მეზობელი ქვეყნების ხელისუფლებების მიმართ პოლიტიკური ლოიალობის გამო, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა აზერბაიჯანელი და თურქი დისიდენტების მიმართ თვითნებური და დისკრიმინაციულია. ადამიანის უფლებების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების ყველაზე ნათელ მაგალითებს საქართველოდან აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის აფგან მუხთარლის ორგანიზებული გატაცებისა და საქართველოში მოქმედი ჩაღლარის სკოლების მენეჯერისა და მასწავლებლის მუსტაფა ემრე ჩაბუქის მიმართ დაწყებული ექსტრადიციის საქმეები წარმოადგენს.

აზერბაიჯანელ დისიდენტებთან დაკავშირებული პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ 2016-2017 წლებში აზერბაიჯანიდან დევნილ ჟურნალისტებსა და აქტივისტებს, რომლებიც ინარჩუნებენ კრიტიკულ დამოკიდებულებას აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელისუფლების მიმართ, საქართველოს მთავრობა უარს უცხადებს ლტოლვილის სტატუსისა და ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, რაც ამავე პერიოდში აზერბაიჯანში აქტივისტების მიმართ რეპრესიული პოლიტიკის გამკაცრებას სიმპტომატურად ემთხვევა.[57] რელევანტური ადმინისტრაციული ორგანოები ლტოლვილის სტატუსის ან ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ზოგადი ინტერესით ხსნიან, რომლის დასაბუთებულობისა და რელევანტურობის შემოწმება, უსაფრთხოების სამსახურების შესაბამისი დასკვნის საიდუმლო ბუნების გამო, ფაქტობრივად, შეუძლებელია. სუსტი და ფორმალური სასამართლო კონტროლის პირობებში კი, აღმასრულებელ ხელისუფლებას თვითნებობის ფართო არეალი რჩება და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის მაღალი რისკი წარმოიქმნება.[58] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა საიდუმლო ინფორმაციაა და განმცხადებელს მისი შინაარსის გაცნობის საშუალება არ აქვს, რაც, ცხადია, მას სასამართლოში საკუთარი უფლებების სათანადო დაცვის შესაძლებლობას

[57] იხ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტების და აქტივისტების საქმეების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/06/28/emc-318/

[58] იხ. რეპრესია საზღვრებს მიღმა: აზერბაიჯანიდან დევნილი მოქალაქეები საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, Freedom Now, 2017, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/11/21/emcraport/

ართმევს.[59]

აზერბაიჯანელი დისიდენტების საქმეებში ასევე ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში მათ მიმართ დევნის, შევიწროების, კონტროლის და აღნიშნულ დანაშაულებზე პოლიციის არაეფექტიანი რეაგირების პრობლემა.[60]

ცალკეულ შემთხვევებში ჩნდება ეჭვები საქართველოსა და აზერბაიჯანის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის არაფორმალური თანამშრომლობის შესახებ, რაც ყველაზე მძაფრად აფგან მუხთარლის გატაცებისა და, ასევე, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის – ჯამალ ალისთვის საქართველოში შემოსვლის დაუსაბუთებელი და პოლიტიკური შეხედულების გამო დისკრიმინაციული აკრძალვის[61] საქმეებში გამოჩნდა.

აფგან მუხთარლის საქართველოს ტერიტორიიდან გატაცების საქმეზე გამოძიების დაწყებიდან თითქმის 9 თვე გავიდა, თუმცა, ამ დრომდე გამოძიების პროცესში პროგრესი არ ჩანს. გარდა ამისა, ამ დრომდე არ გაქარწყლებულა ეჭვები ორგანიზებულ დანაშაულში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლო მონაწილეობის შესახებ. მეტიც, გამოძიების მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული სერიოზული ხარვეზები საზოგადოების ნდობას და მოლოდინს გამოძიების ეფექტიანობის მიმართ მნიშვნელოვნად ამცირებს. განსაკუთრებით მწვავედ დგას გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, სათანადო კვალიფიკაციისა[62] და დაზარალებულის სტატუსის მინიჭებაზე უარის პრობლემა.[63]

[59] იხ. აზერბაიჯანელი ჟურნალისტების და აქტივისტების საქმეების მიმოხილვა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/06/28/emc-318/

[60] იხ. რეპრესია საზღვრებს მიღმა: აზერბაიჯანიდან დევნილი მოქალაქეები საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, Freedom Now, 2017, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/11/21/emcraport/

[61] იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) განცხადება, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/05/05/emc-269/

[62] შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ საქმის გარემოებები მიუთითებს გატაცების პროცესში ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობის, მისი საზღვარგარეთ გაყვანის და, ასევე, აფგან მუხთარლის ოჯახისა და სახელმწიფოს ინტერესებისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების ფაქტზე, პროკურატურამ, აფგან მუხთარლისა და ლეილა მუსტაფაევას ადვოკატის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საქმის კვალიფიკაცია სსკ-ის 143-ე მუხლის მე-4 ნაწილით არ შეცვალა და ის ამ დრომდე სსკ-ის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა) მიმდინარეობს. ამასთან, გამოძიება უგულებელყოფს აფგან მუთხარლის გატაცების ფაქტით მისთვის და მისი მეუღლის – ლეილა მუსტაფაევასთვის ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ინტერესსა და შედეგს, რომელიც ასევე უნდა გახდეს გამოძიების საგანი (სსკ-ის 154-ე მუხლის მეორე ნაწილი).

[63] იხ. არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, 2018, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2018/02/19/emc-csos/

მიუხედავად იმისა, რომ დაკავებისთანავე აფგან მუხთარლიმ განაცხადა, რომ მისი გატაცება საქართველოს ტერიტორიიდან ორგანიზებულად, სავარაუდოდ, საქართველოს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების უშუალო მონაწილეობით განხორციელდა, გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტების დარღვევით, საქმეზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო. პროკურატურას საქმე გამოსაძიებლად მხოლოდ 2017 წლის 20 ივლისს, თითქმის 2 თვის დაგვიანებით გადაეცა. საქმეზე სიმართლის დადგენისთვის ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი მტკიცებულებების, მათ შორის, ვიდეოჩანაწერების მოპოვება სწორედ შსს-მ, მნიშვნელოვანი ხარვეზებით განახორციელა.[64] დანაშაულის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არარსებობაზე მითითებით, პროკურატურა დღემდე უარს აცხადებს აფგან მუხთარლის (ასევე, სსკ-ის 154-ე მუხლის შესაბამისად – ლეილა მუსტაფაევის) დაზარალებულად ცნობაზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა არ უზრუნველყო აღნიშნულ საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა. ამასთან, პროკურატურა, საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, არ უზრუნველყოფს გამოძიების პროგრესისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.[65]

აზერბაიჯანიდან დევნილი აქტივისტებისა და ჟურნალისტებისთვის საქართველოში ცხოვრება საკუთარი საქმიანობის გაგრძელებისა და ოჯახებთან ახლო კომუნიკაციის შენარჩუნების საშუალება იყო.[66] თუმცა, აგფგან მუხთარლის გატაცების შემდეგ და დისიდენტების მიმართ საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პოლიტიკის პირობებში, მათმა დიდმა ნაწილმა საქართველო დატოვა.[67]

[64] შენიშვნა: საქმის მასალების შესაბამისად, გამოძიების მიერ არ ყოფილა ამოღებული გამტაცებლების გადაადგილების მარშრუტზე თბილისიდან ლაგოდეხამდე არსებული კერძო ობიექტების ვიდეოჩანაწერები, ხოლო ამავე პერიმეტრზე არსებული შს სამინისტროს ვიდეოკამერები, მოწმის ჩვენების მიხედვით, გათიშული იყო. საქმეში არსებული მასალის მიხედვით, არ ფუნქციონირებდა სასაზღვრო-საემიგრაციო პუნქტ „ცოდნის“ (ლაგოდეხი) გარე პერიმეტრზე არსებული კამერების ჩამწერი მოწყობილობა. მეტიც, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მაუწყებელი პროექტისა (OCCRP) და ტელეარხ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებთან (რომლებიც აფგან მუხთარლის გატაცებას დამოუკიდებლად იძიებდნენ) ჩაწერილი ახსნა-განმარტებები, მიუთითებს ეჭვზე, რომ, სავარაუდოდ, შსს-ს თანამშრომლებმა წაშალეს კერძო კამერებით ჩაწერილი მასალა.

[65] იხ. არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, 2018, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2018/02/19/emc-csos/

[66] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრისა (EMC) და „ნეტგაზეთის“ მიერ მომზადებული ერთობლივი ვიდეო, ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/EMCRIGHTS/videos/1588495311183102/

[67] იხ. რეპრესია საზღვრებს მიღმა: აზერბაიჯანიდან დევნილი მოქალაქეები საქართველოში,

საანგარიშო პერიოდში ასევე აქტუალური იყო ჩაღლარის სკოლების მენეჯერისა და მასწავლებლის – მუსტაფა ემრე ჩაბუქის თურქეთის ტერიტორიაზე შესაძლო ექსტრადიციის საქმე. თურქეთის ხელისუფლების ინფორმაციით, მუსტაფა ემრე ჩაბუქს კავშირი აქვს ფეთულაჰჰ გიულენის მიერ დაარსებულ ორგანიზაციასთან – „FETÖ/PDY", რომელიც თურქეთში 2016 წლის 15 ივლისის მოვლენების შემდგომ ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევა. თურქეთის ხელისუფლების ბრალდება დაუსაბუთებელი ჩანს და საქართველოსთვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავს არც ერთ კონკრეტულ მითითებას იმის თაობაზე, თუ რატომ შეიძლება წარმოადგენდეს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი ან ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული კომპანია ტერორისტულ ორგანიზაციას, ასევე, მუსტაფა ემრე ჩაბუქის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება რატომ შეიძლება განიხილებოდეს ტერორისტული ორგანიზაციის წევრობად.[68]

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, ევროპული კომისიის,[69] ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის,[70] საერთაშორისო ამნისტიისა[71] და Human Rights Watch-ის[72] ანგარიშები ფეტულაჰჰ გიულენის მოძრაობის წევრების მიმართ თურქეთში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, სამართლიანი სასამართლოს ბაზისური გარანტიების დარღვევის, პოლიტიკური და თვითნებური დევნის რისკებზე უთითებენ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ მ. ე ჩაბუქსა და მის ოჯახს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარი განუცხადა,[73] რაც, საბოლოოდ, ძალაში დატოვეს ეროვნულმა სასამართ-

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), საერთაშორისო პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის, Freedom Now, 2017, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/11/21/emcraport/

[68] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/07/10/emc-326/

[69] ევროპული კომისიის ანგარიში, 2016, ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/sites/near/files/pdf/key_documents/2016/20161109_report_turkey.pdf

[70] ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/documents/organization/265694.pdf

[71] საერთაშორისო ამნისტია, ანგარიში, 2017, ხელმისაწვდომია: https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/turkey/report-turkey/#endnote-5

[72] Human Rights Watch, ანგარიში, 2018, ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/world-report/2018/country-chapters/turkey

[73] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასება, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/07/10/emc-326/

ლოებმა.[74]

ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის შემდეგ მალევე პროკურატურამ საერთო სასამართლოებს ექსტრადიციის დასაშვებობის მოთხოვნით მიმართა.[75] 2018 წლის 19 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, მუსტაფა ემრე ჩაბუქს აღკვეთის ღონისძიების სახით საექსტრადიციო პატიმრობა 1000 ლარის ოდენობის გირაოს გამოყენებით შეუცვალა. მუსტაფა ემრე ჩაბუქს 24 თებერვალს კანონით გათვალისწინებული საექსტრადიციო პატიმრობის 9-თვიანი ვადა ისედაც ეწურებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქმეზე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესითა და ძლიერი ადგილობრივი და საერთაშორისო ადვოკატირებით უნდა აიხსნას. არსებითი განხილვა ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე გრძელდება.

ექსტრადიციის პროცესის დაწყების მიღმა, საქართველოს მთავრობამ დახურა ჩაღლარის ორი ყველაზე გავლენიანი და წარმატებული სკოლა ისე, რომ მის მიერვე მითითებული (თუმცა, სკოლის ადმინისტრაციების მიერ სადავო) დარღვევების გამოსწორების შესაძლებლობა სკოლის ადმინისტრაციას არ მისცა. ავტორიზაციის მინიჭების შესახებ დისკრეციული გადაწყვეტილება მთავრობამ განათლების უფლებისა და მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების უგულებელყოფით მიიღო. სახალხო დამცველის შეფასებით, ჩაღლარის სკოლებში გამოვლენილი დარღვევები სხვა სკოლებშიც ფიქსირდება, თუმცა, ეს მათთვის ავტორიზაციაზე უარის საფუძველი არ გამხდარა. [76]

[74] მათ შორის, იხილეთ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) სასამართლო მეგობრის მოსაზრება (amicus curie) მ.ე. ჩაბუქისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის საქმეზე, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2017/10/10/emc56/

[75] მათ შორის, იხილეთ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) სასამართლო მეგობრის მოსაზრება (amicus curie) მ. ე. ჩაბუქის შესაძლო ექსტრადიციის საქმეზე, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2018/02/06/emc-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%98/

[76] იხ. სახალხო დამცველის შეფასება დემირელის კოლეჯისთვის ავტორიზაციის გაუქმების საქმესთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saxalxo-damcvelma-demirelis-koledjistvis-avtorizaciaze-uaris-tqma-ukanonod-miichnia.page

რეკომენდაციები:

- საქართველოს მთავრობამ მაქსიმალურად უზრუნველყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მათ შორის, აზერბაიჯანის, თურქეთის ადამიანის უფლებების დამცველებისა და სხვა დისიდენტების დაცვა და უსაფრთხოება საქართველოს ტერიტორიაზე;

- პროკურატურამ უზრუნველყოს დამოუკიდებელი, დროული, ჯეროვანი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება აფგან მუხთარლის გატაცების საქმეზე (მათ შორის, საერთაშორისო გამომძიებლების/ექსპერტების მონაწილეობა გამოძიების პროცესში და გამოძიების პროგრესის შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება). ამასთან, პარლამენტმა უზრუნველყოს აღნიშნულ საქმეზე დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის დროს წარმოადგინოს შესაბამისი დასაბუთება კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებსა და კანონმდებლობაზე მითითებით. ამასთან, უზრუნველყოს წვდომა საიდუმლო ინფორმაციაზე და უფლება – სამართლიან სასამართლოზე, რაც გულისხმობს, საიდუმლო ინფორმაციის საფუძველზე, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების ეფექტურ და საფუძვლიან გადასინჯვას სასამართლოს მიერ;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ დროულად აღმოფხვრას საზღვრის კვეთის დროს ადამიანის უფლებების დარღვევის დისკრიმინაციული და თვითნებური შემთხვევები;

- საერთო სასამართლოებმა და იუსტიციის მინისტრმა ჯეროვნად შეაფასონ თურქეთის ტერიტორიაზე მ.ე. ჩაბუქის ექსტრადიციის შემთხვევაში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის მაღალი რისკები და არ დაუშვან მისი გადაცემა.

რელიგიის თავისუფლება

2017 წელს არადომინანტი რელიგიური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა.

2017 წლის განმავლობაში სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობა, რომელიც რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი უწყება უნდა იყოს, წინა წლების მსგავსად, მნიშვნელოვანი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენდა.[77] მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, განიხილებოდა სააგენტოს გაუქმების საკითხიც.[78]

საანგარიშო პერიოდში კვლავ არ აღმოფხვრილა დისკრიმინაციული საგადასახადო პოლიტიკა,[79] ასევე, საქართველოს მთავრობის №117 დადგენილების მიხედვით, მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის დაფინანსებითა და სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში[80] არსებული ხარვეზებით გამოწვეული პრობლემები.

2017 წლის 8 თებერვალს ქ. ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის მიზნით, მუსლიმი თემის თვითორგანიზებულმა ჯგუფმა, რომელიც ათეულობით ათას მუსლიმს აერთიანებდა, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს ნებართვის მისაღებად მიმართა. 2017 წლის 5 მაისის ბრძანებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა, ბათუმის ქალაქგანვითარებით ინტერესებზე აპელირებით, მუსლიმებს მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარი განუცხადა.[81] იმ პირობებში, როდესაც სამშენებლო მიწის ნაკვეთის მიმდებარე კვარტალში არაერთი მართლმადიდებლური საკულტო ნაგებობა მდებარეობს, ამავე დროს, კანონმდებლობა აღნიშნულ ზონაში დასაშვებად მიიჩნევს ასეთ მშენებლობას,[82] მერიის გადაწყვეტილება დისკრიმინაციული მოპყრობის დასაბუთებულ ვარაუდს ქმნის.[83]

---

[77] კრიტიკის საგანი გახდა, მათ შორის, სააგენტოს მიერ რელიგიური ორგანიზაციებიდან სასულიერო პირების პერსონალური მონაცემების გამოთხოვნა. On.ge - მიზეზი, რატომაც რელიგიის სააგენტო სასულიერო პირების პერსონალურ მონაცემებს ითხოვს. იხ: goo.gl/xmLFvS

[78] ტელეკომპანია „იმედი“ - „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო შესაძლოა გაუქმდეს“, ხელმისაწვდომია: goo.gl/tvw8Pa

[79] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 23 მარტის №1/8/671 საოქმო ჩანაწერი, ხელმისაწვდომია: goo.gl/B9U6cb

[80] საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები - 2017წ. გვ.11-12, ხელმისაწვდომია: goo.gl/fpNRQR

[81] „ლიბერალის“ სტატია - „ბათუმის მერიამ მუსლიმ თემს მეჩეთის აშენების ნებართვა არ მისცა“, ხელმისაწვდომია: goo.gl/UhPqcP

[82] დეტალურად იხილეთ EMC-ის შეფასება ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე მერიის უართან დაკავშირებით: https://emc.org.ge/2017/05/11/emc-mosque/

[83] ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის თაობაზე საქმის განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს, სადაც მოსარჩელის ინტერესებს EMC და TDI წარმოადგენენ. იხ: https://emc.org.ge/2017/06/13/emc-305/

2016 წლის 6 ივნისს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელმაც კათოლიკური ეკლესიის სარჩელის საფუძველზე რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის მიზნით ნებართვის გაცემა დაავალა და, იმავდროულად, მერიის თავდაპირველი უარი რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციად შეაფასა,[84] მთელი წლის განმავლობაში პოლიტიკური მოლაპარაკებების საგანი იყო. საბოლოოდ, ეკლესიის მშენებლობის მიზნით, სახელმწიფომ მიწის ნაკვეთების გაცვლა განახორციელა და კათოლიკურ ეკლესიას ქალაქის სხვა სივრცეში მოუწია მშენებლობის დაწყება. პრობლემის აღმოფხვრის მიუხედავად, ცხადია, დავის გადაწყვეტის ეს ფორმა ვერ შეფასდება საკულტო ნაგებობების მშენებლობის დისკრიმინაციული პრაქტიკის გადაჭრის ეფექტიან გზად.

სახელმწიფოს დღემდე არ აქვს შემუშავებული საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობის რელიგიური ორგანიზაციებისთვის დაბრუნების (რესტიტუციის) სისტემური პოლიტიკა, განსხვავებით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან.[85] 2015 წლიდან არადომინანტ რელიგიურ ორგანიზაციებს არასადავო, მოქმედი საკულტო ნაგებობები სახელმწიფოს მიერ მხოლოდ სარგებლობის უფლებით გადაეცემათ,[86] რაც, ფორმალურად, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში არსებული ხარვეზებით არის დასაბუთებული.[87] თუმცა, მისი მიზეზები უფრო პოლიტიკურია და რელიგიურ ორგანიზაციებზე კონტროლის ბერკეტის შენარჩუნებითა და მათ მიმართ არსებული ღრმა უნდობლობით უნდა აიხსნას. ამასთან, სააგენტოს მიერ ისედაც მოქმედი საკულტო ნაგებობების დროებითი სარგებლობის უფლებით გადაცემა რესტიტუციის პროცესად ვერ შეფასდება.[88]

[84] EMC-ის სარჩელი რუსთავის საქალაქო სასამართლომ კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვაზე დააკმაყოფილა. იხ: https://emc.org.ge/2016/06/08/emc-83/

[85] საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.

[86] იხ. სსიპ „რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს 2015 წლის ანგარიში გვ.14 - goo.gl/gB9qb1

[87] „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი არ უშვებს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საკულტო ნაგებობების განკარგვას, მათ შორის, რელიგიური ორგანიზაციებისთვის. ამის გარდა, კანონში არსებული ნორმების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე რელიგიური ორგანიზაციები, გარდა საპატრიარქოსი, არ შეიძლება იყვნენ სახელმწიფო ქონების შემძენები;

[88] სახელმწიფოს რესტიტუციის პოლიტიკის შეფასებაზე იხ. EMC-ის კვლევა „რელიგიის თავისუფლება – სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით (2016-2017 წწ)[89] აღიარებული ვალდებულების მიუხედავად, პრაქტიკაში, კვლავ გადაუჭრელი რჩება სადავო ისტორიულ საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებული დავების სამართლიანი გადაწყვეტის პრობლემა. სახელმწიფოს უმოქმედობის ყველაზე ნათელ მაგალითს, სოფელ მოხეში მდებარე საკულტო ნაგებობის კონფესიური და ისტორიული წარმომავლობის შესწავლის მიზნით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ შექმნილი კომისიის საქმიანობა წარმოადგენს. კომისიამ, 2-წლიანი მუშაობის მიუხედავად, უარი თქვა ნაგებობის კონფესიური წარმომავლობის საკითხის შესწავლაზე და მას „სადავო კულტურული ძეგლის" სტატუსი მიანიჭა.[90] დავის გადაწყვეტის ალტერნატივად კი, კომისიამ მუსლიმ თემს ახალი მეჩეთის მშენებლობაში დახმარება შესთავაზა.[91] მუსლიმი თემის ნაწილი აღნიშნულ გადაწყვეტილებას უარყოფითად აფასებს და, კომისიის გადაწყვეტილების მიმართ პროტესტის ნიშნად, დღემდე ღია ცის ქვეშ ლოცვას აგრძელებს.[92] კომისიის რამდენიმეწლიანი საქმიანობის მიუხედავად, სახელმწიფომ რეალურად ვერ შეძლო პრობლემის ეფექტურად გადაჭრა.[93]

პრობლემას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საკულტო ნაგებობების კონფესიური მესაკუთრის სათანადო გამოკვლევის გარეშე გადაცემის პროცესი. ქ. მარნეულში მდებარე იმამ ალის მეჩეთი, რომელშიც წლების განმავლობაში რელიგიურ საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს ადგილობრივი მრევლის მიერ ჩამოყალიბებული რელიგიური ორგანიზაცია (არარეგისტრირებული კავშირი „იმამ ალის მეჩეთი"), სახელმწიფომ, ყოველგვარი გამოკვლევის გარეშე, სარგებლობის უფლებით გადასცა სხვა მუსლიმურ ორგანიზაციას – სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს".[94] საკულტო ნაგებობების დაბრუნების პროცესის ხარვეზიანობასთან ერთად, აღნიშნული საქმე მიუ-

---

კრიტიკა, გვ. 91-102, ხელმისაწვდომია: https://emcrights.files.wordpress.com/2017/03/170x250-geo-web.pdf

[89] საქართველოს მთავრობის №1138 დადგენილება, 11.1.3.4 პუნქტი. ხელმისაწვდომია: goo.gl/qz3Pzm

[90] EMC სოფელ მოხეში ქრისტიან და მუსლიმ თემს შეხვდა. იხ: goo.gl/AkqPtL

[91] ჟურნალი „ლიბერალი", „მოხის ნაგებობას ძეგლის სტატუსი მიენიჭა - ზაზა ვაშაყმაძის თქმით, „ყველაფერი არის ხუთიანზე". იხ: goo.gl/pYyNAh

[92] მოხის ისტორიული მეჩეთის გადარჩენის ჯგუფის Facebook-გვერდი: goo.gl/jdF5sD

[93] EMC მოხის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას აფასებს. იხ: https://emc.org.ge/2017/05/12/emc-mokhe-2/

[94] EMC-მ მარნეულში იმამ ალის მეჩეთის რესტიტუციის პრობლემასთან დაკავშირებით სასამართლო დავა დაიწყო – https://emc.org.ge/2017/09/26/emc-359/ მითითებულ საქმეზე მოსარჩელის ინტერესებს EMC წარმოადგენს.

თითებს ხელისუფლების მცდელობაზე, გააძლიეროს სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს, როგორც ექსკლუზიური მუსლიმური ორგანიზაციის, ლეგიტიმურობა და რესურსი.

2017 წელს სახელმწიფომ საპატრიარქოს საკუთრებაში დაურეგისტრირა ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №38-ში მდებარე „Tandoanc surb astvawawin"-ის სომხური ეკლესია. საპატრიარქოსთვის ეკლესიის საკუთრებაში გადაცემა ეფუძნებოდა საპატრიარქოს ზოგად მითითებას, რომ ამ ტერიტორიაზე ადრე მართლმადიდებლური ეკლესია არსებობდა. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო წლების განმავლობაში თავად მიუთითებდა ეკლესიის სომხური ეპარქიისადმი კონფესიურ კუთვნილებაზე, საბოლოოდ, მიიღო გადაწყვეტილება ძეგლის საპატრიარქოსთვის გადაცემის თაობაზე.[95] აღნიშნული გადაწყვეტილება, რესტიტუციის პროცესის დისკრიმინაციის მიღმა, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის დაძაბულობას ქმნის და კულტურული მემკვიდრეობის ავთენტურობის და მრავალფეროვნების კვალს შლის.

მუსლიმი თემი საუბრობს საზღვრის კვეთის დროს შექმნილ თვითნებურ ბარიერებზე, რელიგიური კუთვნილების შესახებ დაკითხვებსა და რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის შემთხვევებზე საბაჟო გამშვებ პუნქტზე.[96] საზღვრის კვეთის დროს გამოვლენილ დისკრიმინაციულ ფაქტებთან დაკავშირებით 2017 წლის 24 აპრილს სახალხო დამცველის მიერ გამოცემული რეკომენდაციის[97] მიუხედავად, მუსლიმი თემის წარმომადგენლები კვლავ მიუთითებენ საზღვრის კვეთის პროცესში რელიგიური დისკრიმინაციის პრაქტიკაზე.

საანგარიშო პერიოდში პრობლემას წარმოადგენდა მუსლიმი მოსწავლეების მიერ სკოლაში თავსაბურავით სიარულის გამო დისკრიმინაციული შევიწროების შემთხვევები,[98] რაც, თავის მხრივ, წახალისებული იყო განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახურის დასკვნით, რომელმაც, რელიგიური ნეიტრალიტეტის დაცვის არგუმენტით, მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური რწმენის შეზღუდვა სკოლების მიერ დასაშვებად მიიჩ-

[95] ხელისუფლებამ თანდოიანცის ეკლესია საქართველოს საპატრიარქოს გადასცა – goo.gl/sKkHdd, სასამართლოში მოსარჩელის ინტერესებს EMC და TDI წარმოადგენენ.

[96] სახალხო დამცველმა საზღვრის კვეთის დროს მუსლიმი თემის დისკრიმინაციის საქმეზე EMC-ის განაცხადება დააკმაყოფილა. იხ: https://emc.org.ge/2017/05/02/emc-262/

[97] საქართველოს სახალხო დამცველმა მუსლიმების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთისას რელიგიის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა. იხ: goo.gl/Bf5ozy

[98] იხ. სოფელი მოხეს სკოლის ისტორია: goo.gl/7UxLuQ ; იხ. სოფელი ყარაჯალას სკოლის ისტორია: goo.gl/n7V8po

ნია.[99] მითითებულ საკითხზე სახალხო დამცველმა განათლების სამინისტროს ზოგადი წინადადებით მიმართა და საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებზე კონკრეტული ზომების განხორციელებისკენ მოუწოდა.[100]

საანგარიშო წელს ასევე თვალშისაცემი იყო ხელისუფლების მიერ სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს პოლიტიკური ინსტრუმენტალიზებისა და კონტროლის პოლიტიკა. აღნიშნული ყველაზე მძაფრად გამოჩნდა: ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საკითხის ირგვლივ სამუფტო სამმართველოსა და მრევლის ინტერესების აცდენაში, სოფელ მოხეში ღია ცის ქვეშ მლოცველ მუსლიმებთან ერთად ლოცვის გამო იმამის გათავისუფლებასა და სხვა კრიტიკულად განწყობილი იმამებისთვის ხელფასების შეწყვეტაში.

ხაზი უნდა გაესვას, ასევე, 2017 წელს განხორციელებულ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლითაც გაფართოვდა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების წრე,[101] რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. თუმცა, ხელისუფლებამ გაიზიარა რეკომენდაცია აღნიშნული ცვლილების გამოსწორების აუცილებლობასთან დაკავშირებით.

[99] EMC მოხის საჯარო სკოლის საქმეზე შიდა აუდიტის დასკვნას ასაჩივრებს. იხ: goo.gl/PMvLnP

[100] ინფორმაცია სახალხო დამცველის ზოგადი წინადადების თაობაზე, იხ: https://emc.org.ge/2017/09/22/emc-357/

[101] EMC-ის შეფასება კონსტიტუციურ ცვლილებებზე, იხ: https://emc.org.ge/2017/09/25/emc-358/

რეკომენდაციები:

საქართველოს პარლამენტს

- ცვლილება შეიტანოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში არსებული რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებში და შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ უფლებებში ჩარევის საფუძვლებთან;

- უზრუნველყოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც არსებითად ხელს უშლის რელიგიურ ორგანიზაციებს რელიგიის თავისუფლებით უზრუნველყოფილი უფლებების დაცვაში, მათ შორის, აღმოფხვრას დისკრიმინაციული ჩანაწერები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონში და ბიუჯეტის შესახებ კანონში;

საქართველოს მთავრობას

- უზრუნველყოს „ქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისთვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის დადგენილებაში ცვლილებების გატარება და 4 რელიგიური ორგანიზაციის დისკრიმინაციული და არასეკულარული დაფინანსების პრაქტიკის რევიზია;

- უზრუნველყოს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების რესტიტუციისა და სადავო ისტორიულ ნაგებობებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისკენ მიმართული თანმიმდევრული, გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტისა და პოლიტიკის მომზადება; ხოლო სისტემური პოლიტიკის მიღებამდე, ახალი დავების წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, შეაჩეროს საკულტო ნაგებობების გადაცემის არათანმიმდევრული პოლიტიკა;

- გააანალიზოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობის ხარვეზები და უზრუნველყოს მისი მანდატისა და საქმიანობის სტრატეგიის ფუნდამენტური ტრანსფორმაცია;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

- უზრუნველყოს საჯარო სკოლებში რელიგიური ნეიტრალიტეტის განუხრელი დაცვა, რელიგიის ნიშნით დისკრიმინაციის, ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის შემთხვევებზე განახორციელოს სათანადო რეაგირება და, მათი პრევენციის მიზნით, გაატაროს სისტემური ღონისძიებები (მათ შორის, სკოლის ადმინისტრაციის გაძლიერება რელიგიური ნეიტრალიტეტის მართვის მიმართულებით, ასევე, თანასწორობასა და მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული პოლიტიკის საკითხებში).

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს

- უზრუნველყოს არადომინანტი რელიგიური ჯგუფების ისტორიული ძეგლების ავთენტურობის შენარჩუნება და დაცვა. ამ მიზნით, შეიმუშაოს საჭიროებებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა, რომელიც სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომებს დაეფუძნება.

ეთნიკური კუთვნილება და მოქალაქეობა

ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხი, ძირითადად, უსაფრთხოების პარადიგმით განიხილება და არადომინანტი ეთნიკური ჯგუფები „სხვებად“, ზოგიერთ შემთხვევაში, „საშიშ სხვებად“ განიხილებიან. უსაფრთხოების სამსახურების მონაწილეობა არადომინანტ რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებულ პოლიტიკაში ჭარბია, ხოლო, ხშირად, სუსტად კოორდინირებული – სხვა პოლიტიკურ და დემოკრატიულ ორგანოებთან.

ეთნიკური უმცირესობების საკითხები პოლიტიკურ დღის წესრიგში არასაკმარისად დგას. ხელისუფლებას მაკონსოლიდირებელი სამოქალაქო ნაციონალიზმის ნარატივი არ გააჩნია. ეთნიკური ქართველების ეთნიკურ უმცირესობასთან თანაცხოვრების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ქართველად იდენტიფიცირების ორი მახასიათებელი: რელიგიური იდენტობა (მართლმადიდებლობა) და ეთნიკურ ქართველად იდენტიფიცირება. მოქალაქეები, რომლებსაც ეს ორი ასპექტი არ ახასიათებთ, აწყდებიან სირთულეებს ინტეგრაციაში. ისინი არ აღიქმებიან საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.[102]

კვლავ პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებს არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა. მოქალაქეობის არქონა მათ არა მხოლოდ ართმევს საარჩევნო პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობას, არამედ, ასევე, აღნიშნული პირები ვერ სარგებლობენ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონით დადგენილი შეღავათებით.[103] ეთნიკური სომხების გარდა, პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე საქართველოში მცხოვრები ბოშების უზრუნველყოფა დაბადების და პირადობის მოწმობებით.[104] 2015-2017 წლებში სულ 6 ბოშა იყო უზრუნველყოფილი საბუთებით (გაიცა 2 – დაბადების და 4 – პირადობის მოწმობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ).[105]

კვლავ დაბალია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა. ეთნიკური უმცირესობის მხოლოდ 11 წარმომადგენელია არჩეული პარლამენტში, მაშინ როდესაც, 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 16% მიეკუთვნება ეთნიკურ უმცირესობას, ხოლო

[102] Ullmann A. (2016) Challenges to coexistence in Georgia, CSS analysis in security policy, http://www.css.ethz.ch/en/publications/cssanalyses- in-security policy/details.html?id=/n/r/1/8/nr_186_herausgeforderte_koexistenz_in_ge

[103] საიას სარჩელი საქმეზე – *სომხეთის მოქალაქე ანი მინასიანი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ.*

[104] https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G16/127/84/PDF/G1612784.pdf?OpenElement

[105] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილი №3363, 2017 წლის 6 ივლისი.

2014 წლის აღწერით, ეს მაჩვენებელი 13,2%-ია. მაგალითად, თბილისის მოსახლეობის დაახლოებით 11% ეროვნულ უმცირესობებს განეკუთვნება. თუმცა, ისევე, როგორც გასულ წლებში, დედაქალაქის ამჟამინდელ საკრებულოშიც არ არიან წარმოდგენილნი ეროვნული უმცირესობები. ასევე, თბილისის რაიონების და მუნიციპალიტეტების არცერთი გამგებელი/გამგებლის მოადგილე, არცერთი საქალაქო სამსახურის უფროსი და მისი მოადგილე არ არის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი.[106]

უცხოელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ასევე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემაზე უარი სერვისების განვითარების სააგენტოს მხრიდან. კონტრდაზვერვის სამსახურის დასკვნა, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოში ცხოვრების მიზანშეუწონლობის შესახებ, რასაც უარი ეფუძნება, არის განმცხადებელი უცხოელისათვის ხელმიუწვდომელი. ეს გარემოება ქმნის თვითნებობის მაღალ რისკს და ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ოჯახის ერთიანობის პრინციპთან იმის გათვალისწინებით, რომ მუდმივი ცხოვრების უფლების მაძიებლის ოჯახის წევრები საქართველოს მოქალაქეები არიან.[107] ინფორმაციის საიდუმლო ხასიათის გამო, უფლების დარღვევის მსხვერპლებს მასზე ხელი არ მიუწვდებათ. სამართლებრივი დაცვის სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობა ერთმევათ მათ ადვოკატებსაც.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრებ სომეხ და აზერბაიჯანელ საქართველოს მოქალაქეებში კვლავ პრობლემად რჩება სახელმწიფო ენის ცოდნა. სოციალური სწავლებისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2012 წელს ჩატარებული კვლევით დგინდება, რომ ქვემო ქართლის რეგიონში 6 წელზე მეტი ასაკის ეთნიკური უმცირესობის 71,5% სათანადოდ არ ფლობს ქართულ ენას. უფრო მეტიც, ეთნიკური აზერბაიჯანელების 78,3% და სომხური მოსახლეობის 36,6% ვერ საუბრობს სახელმწიფო ენაზე. ეს გარემოება არა მხოლოდ გავლენას ახდენს საჯარო სერვისით სარგებლობის შესაძლებლობაზე, არამედ იზოლაციაში ამყოფებს შესაბამის ეთნიკურ ჯგუფს. ენის არცოდნა წარმოადგენს ერთ-ერთ მიზეზს, რის გამოც, საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები

[106] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2017, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

[107] საიასა და EHRAC-ის ერთობლივი საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში – *ელო დუიშვილი საქართველოს წინააღმდეგ.*

ინფორმაციას იღებენ სომხეთის, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის სატელევიზიო არხებით.[108]

ეთნიკური უმცირესობის ინფორმირების კუთხით, აშკარა რეგრესს ჰქონდა ადგილი 2017 წელს. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეწყვიტა საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ გაშვება აზერბაიჯანულ, სომხურ, ოსურ, რუსულ და აფხაზურ ენებზე.[109] თუმცა, მანამდეც, აღნიშნული პროგრამის გაშვება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში არ იყო სათანადოდ ეფექტიანი, ვინაიდან ეთნიკური უმცირესობით დასახლებული რეგიონების მოსახლეობის უმრავლესობას ხელი არ მიუწვდებოდა ციფრული მაუწყებლობის მისაღებად აუცილებელ „სეთ-თოფ ბოქსებზე“.[110] ამ ეტაპზე, მოსახლეობის ის მცირე ნაწილიც, რომელიც ფლობს აღნიშნულ ტექნიკურ მოწყობილობას, მოკლებულია შესაძლებლობას, საზოგადოებრივი მაუწყებლის საშუალებით, მშობლიურ ენაზე გაეცნოს ინფორმაციას მიმდინარე მოვლენების შესახებ.

საიას მიერ ქვემო ქართლში ჩატარებული კვლევებით დგინდება, რომ ადგილობრივ აზერბაიჯანელ მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება სრულფასოვან ზოგად განათლებაზე, ეს კი, თავის მხრივ, ხელს უშლის ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიღებას. ფოკუს-ჯგუფების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „1+4“ სისტემით, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ძირითადად იზრდება იმ აზერბაიჯანელი სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მუნიციპალიტეტის ცენტრში ცხოვრობენ. სოფლებიდან ასეთი სტუდენტების რაოდენობა შედარებით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია კონცეპტუალური დოკუმენტი, რომელშიც გაანალიზებული იქნება ეთნიკურ უმცირესობათა განათლების პოლიტიკის ძირითადი ხარვეზები, გამოწვევები და ახალი მიდგომების აუცილებლობა.

საანგარიშო პერიოდში მწვავედ გამოიკვეთა პანკისის ხეობის პრობლემა. 2017 წლის 26 დეკემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) მიერ ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, 19 წლის ახალგაზრდა თემირლან მაჩალიკაშვილი ღამით მისსავე საძინებელში მწოლიარე მდგომარეობაში დაჭრეს. მოგვიანებით, თ. მაჩალიკაშვილი თავის არეში მიყენებული მძიმე დაზიანების გამო გარდაიცვალა. სუს-ის ინფორმაციით, თ. მაჩალიკაშვილმა ხელყუმბარის გახსნა სცადა, რაც მის

[108] საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე, გვერდი 437. იხ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

[109] https://on.ge

[110] საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობის თაობაზე, გვ. 437. იხ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf

მიმართ ძალის გამოყენების მიზეზი გახდა. თუმცა, საქმის გარემოებებ-ის გათვალისწინებით, ეს განმარტება არასარწმუნო ვერსიად იკითხება. სპეცოპერაციის დროს სუს-ის მიერ რეპრესიული ძალის დემონსტრირების სტრატეგია იმთავითვე გააკრიტიკეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებმა, მათ შორის, სახალხო დამცველმა.[111] საქმეებთან დაკავშირებული გარემოებები მიუთითებდა დღისით, ინდივიდუალურ სიტუაციებში, მათი დაკავების შესაძლებლობის არსებობაზე. სუს-ის მიერ გამოყენებული ლეტალური ძალის პროპორციულობის საკითხის მიღმა, საქმეში მწვავედ დგას სპეცოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე ადამიანის უფლებების სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი,[112] ასევე, დაჭრილისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დროულობისა და სათანადო კოორდინაციის პრობლემა. მიმდინარე გამოძიება სერიოზული ხარვეზებით მიმდინარეობს და არ აკმაყოფილებს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის სტანდარტებს, მათ შორის – შემთხვევის ადგილზე პირველადი საგამოძიებო მოქმედებები სუს-ის მიერ ჩატარდა.[113] გარდაცვლილის ოჯახს ამ დრომდე არ აქვთ მინიჭებული დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი. სპეცოპერაციის შემდეგ პოლიტიკურ ხელისუფლებას არ გააჩნია ხეობასთან სათანადო კომუნიკაციის სტრატეგია, მაღალი თანამდებობის პირებს არ უცდიათ თემთან მუშაობა. ადგილობრივები ნდობის რღვევასა და პოლიტიკურ ფრუსტრაციაზე, ასევე, დაუცველობის განცდის ზრდაზე საუბრობენ.[114]

მისასალმებელია ის, რომ საანგარიშო პერიოდში შეიქმნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის (რასობრივი დისკრიმინაცია) ჩადენისათვის დასჯის პრეცედენტი.[115] რეპრესიულ პოლიტიკასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ ულტრამემარჯვენე ექსტრემისტულ ჯგუფებთან დაკავშირებით სისტემური პრევენციული პოლიტიკა შეიმუშაოს.

[111] საქართველოს სახალხო დამცველის წლიური ანგარიში, 2017, ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf

[112] EMC-ის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/machalikashvilis-sakmeze-emc-sus-is-tanamshromlebis-samartlebrivi-pasukhismgeblobis-qovlismomtsvel-shefasebas-itkhovs

[113] EMC-ის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/emc-temirlan-machalikashvilis-sakmeze-uakhlesi-ekspertizis-shedegebs-afasebs

[114] რადიო „თავისუფლების“ მიერ მომზადებული მასალა, ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=aK5NQM-EOfs

[115] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდი: http://tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=1105

ეთნიკური უმცირესობების წინაშე მწვავედ დგას საკუთარი კულტურული მატერიალური ძეგლების სათანადოდ დაცვის საკითხი. საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული საკულტო ნაგებობების რესტიტუციის პოლიტიკის არარსებობის პირობებში, არაერთი ძეგლი ნადგურდება, ზიანდება ან დომინანტ ეკლესიას გადაეცემა, რაც ინსტიტუციური ქსენოფობიის ფორმაა, ეთნიკური უმცირესობების კოლექტიური მეხსიერების წაშლას განაპირობებს და აზიანებს საერთო კულტურული სივრცის ქვეშ ინტეგრაციის პროცესს.

განსაკუთრებით რთულია ეთნიკურ უმცირესოებას მიკუთვნებული ქალების უფლებრივი მდგომარეობა. დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა, სოციალური ექსკლუზია, ეკონომიკური მოწყვლადობა, ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (წყლის არარსებობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდულობა), ენის ბარიერის პრობლემები ყველაზე მეტად ქალებს აზიანებს. კაცების მაღალი ეკონომიკური მიგრაციის პირობებში, ადმინისტრაციულ ორგანოებთან კომუნიკაციის და ოჯახზე ზრუნვის ვალდებულება მეტწილად ქალებს აწვებათ ტვირთად. ზოგიერთ რეგიონში მწვავედ იკვეთება ადრეული ქორწინების, ქალთა გატაცების პრაქტიკა. სუსტია საჯარო და სოციალური სერვისების, მათ შორის, ქალთა რეპროდუქციული და ჯანმრთელობის პროგრამების შესახებ ქალების ინფორმირება და მათზე ხელმისაწვდომობა.[116]

[116] ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI), ხელმისაწვდომია: http://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/Ethnic-Minority-Women_Geo.pdf

რეკომენდაციები:

- საქართველოს პრეზიდენტმა სამცხე-ჯავახეთში მოქალაქეობის არმქონე პირების პრობლემა მოაგვაროს საგამონაკლისო წესით, ამ რეგიონში მაცხოვრებელი პირებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებით;
- სახელმწიფომ შეიმუშაოს ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების ხელშემწყობი პოლიტიკა, მათ შორის, უზრუნველყოს არაფორმალური სამოქალაქო და პოლიტიკური განათლების ინსტიტუციური სივრცეების შექმნა;
- იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტომ გააძლიეროს ძალისხმევა ბოშებისთვის დაბადების და პირადობის მოწმობების გასაცემად;
- სერვისების განვითარების სააგენტომ მუდმივი ცხოვრების ნებართვის გაცემისას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ოჯახის ერთიანობის პრინციპს;
- სახელმწიფომ აღმოფხვრას ბინადრობის ნებართვის გაცემის, ასევე, სახელმწიფო საზღვრის კვეთის დროს იდენტიფიცირებული დისკრიმინაციული პრაქტიკა და უზრუნველყოს კანონმდებლობაში არსებული თვითნებური ჩანაწერების რევიზია. ამასთან, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმეების ჯეროვანი განხილვისთვის, უზრუნველყოს სპეციალიზებული ადვოკატის ინსტიტუტის შექმნა.
- გაუმჯობესდეს უმცირესობების მშობლიურ ენაზე ინფორმაციის გადაცემის ხარისხი საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო ეთერში. იმავდროულად, სახელმწიფომ უზრუნველყოს „სეთ-თოფ ბოქსების“ შეძენა უმცირესობებით დასახლებული რეგიონებისთვის;
- სახელმწიფომ შეაფასოს ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე წვდომის მაჩვენებელი და მოამზადოს კონცეპტუალური დოკუმენტი არსებული გამოწვევებისა და რეკომენდაციების შესახებ. ასევე, წაახალისოს სოფლად მცხოვრები ეთ-

ნიკური უმცირესობების წარმომადგენლები „1+4“ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად;

- პოლიტიკურმა პარტიებმა გააძლიერონ მუშაობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში იქ მაცხოვრებელი პირების მიერ ინფორმირებული არჩევანის გაკეთების მიზნით;
- პროკურატურამ უზრუნველყოს ეფექტიანი, დამოუკიდებელი და ყოვლისმომცველი გამოძიების ჩატარება თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე. ამასთან, პოლიტიკურმა ხელისუფლებამ გააძლიეროს ნდობაზე დაფუძნებული სამუშაოები ადგილობრივ თემთან;
- ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით სახელმწიფომ გააძლიეროს გენდერული მიდგომები და უზრუნველყოს მათი სპეციფიკური საჭიროებებისა და ინტერესების კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარება.

სექსმუშაკები

მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირებამ და თანმდევმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გააფართოვა გენდერული ძალადობისგან დაცვის მექანიზმები,[117] სექსმუშაკთა (როგორც სისგენდერ,[118] ისე ტრანსგენდერ ქალთა) მდგომარეობა არ შეცვლილა. პროსტიტუციაში ჩართული ქალები კვლავ წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს და ექვემდებარებიან სისტემურ ჩაგვრასა და ინტერსექციურ დისკრიმინაციას. სტრუქტურული უთანასწორობა, რომელსაც სექსმუშაკები განიცდიან მათი სქესისა და ეკონომიკური მარგინალიზების გამო, განაპირობებს მათ გადაწყვეტილებას, ჩაერთონ და დარჩნენ პროსტიტუციაში, სადაც მათ მხარდაჭერის სერვისებსა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე, ფაქტობრივად, ხელი არ მიუწვდებათ.

სექსმუშაკ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის მაპროვოცირებელია მათი სქესი, სექსსამუშაოსთან დაკავშირებული სტიგმა და პროსტიტუციის თაობაზე არსებული რეპრესიული კანონმდებლობა. იმის მიუხედავად, რომ სექსსამუშაოს ასრულებენ ასევე მამაკაცები (განსაკუთრებით, გეი მამაკაცები) და ტრანსგენდერი ქალები, პროსტიტუციაში უმეტესწილად სისგენდერი ქალები არიან ჩართულნი, რაც გამოწვეულია პატრიარქალური ჩაგვრის სისტემების არსებობით და, ხშირ შემთხვევაში, ქალთა სექსუალურ ექსპლუატაციას უკავშირდება.[119]

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, პროსტიტუცია არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.[120] სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა სექსმომსახურების მყიდველს (კლიენტს), არამედ გამყიდველს (სექსმუშაკს). აღნიშნული დებულება დისკრიმინაციულია ქალთა მიმართ, ვინაიდან პროსტიტუციაში ჩართულ პირთა უმეტესობა ქალები არიან, შესაბამისად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, უმეტესწილად, ქალთა წინააღმდეგ გამოიყენება. პროსტიტუციაში პირის ჩართვა ძალადობით ან

[117] იხ. აღნიშნული ანგარიშის თავი „ქალები“.

[118] სისგენდერი – პირი, რომლის ბიოლოგიური სქესი შეესაბამება მის გენდერულ იდენტობას.

[119] იხ. მაგ. J. Vandepitte, R. Lyerla, G. Dallabetta, F. Crabbé, M. Alary, A. Buvé, 'Estimates of the number of female sex workers in different regions of the world', Journal of Sexually Transmitted Infections, 82, 2006, იხ. ასევე გენდერული ძალადობა სექსმუშაკთა მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები: საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018.

[120] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 172^3.

სხვა უკანონო გზით,[121] ასევე, პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა[122] სისხლის სამართლის დანაშაულებია.

პროსტიტუციისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდების მიზნით გამოტანილი სასამართლო დადგენილებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამართალდარღვევის ოქმების შედგენა ხდება არაუფლებამოსილი პირების მიერ (შინაგან საქმეთა სამინისტრო).[123] სასამართლოს დადგენილებებში არ არის წარმოდგენილი სამართალდარღვევის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები, რაც ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული პროცედურის სამართლიანობას.[124] უმეტესწილად, პროსტიტუციის აღსაკვეთად, სამართალდამცავი ორგანოები სექსმუშაკებს აჯარიმებენ არა პროსტიტუციის, არამედ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით, რაც უფრო დიდი ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს.[125]

პროსტიტუციასთან დაკავშირებული სტიგმა, პროსტიტუციისთვის დადგენილი ადმინისტრაციული სანქცია და პროსტიტუციასთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აიძულებს სექსმუშაკებს, იმუშაონ მაღალი საფრთხის შემცველ გარემოში, სადაც ხელი არ მიუწვდებათ რესურსებზე და სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებებზე.[126] სექსმუშაკები განიცდიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, სქესობრივი კავშირის იძულებას პოლიციისგან, თავისუფლების უკანონო აღკვეთას და თანამშრომლობაზე იძულებას (მაგალითად, დანაშაულის პროვოკაციის მიზნით) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სანაცვლოდ. ისინი უმეტესწილად განიცდიან ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ ძალადობასა და ადევნებას კლიენტებისგან.[127] ასოციაცია „ჰერა XXI"-ის თანახმად, აღნიშნული ძალადობის ფორმებს სექსმუშაკები კვირაში მინიმუმ 2-ჯერ განიცდიან.[128]

[121] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 253.

[122] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 254.

[123] იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, კარი 3.

[124] გენდერული ძალადობა სექსმუშაკთა მიმართ და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის ბარიერები: საერთაშორისო სტანდარტები და საქართველოს გამოცდილება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2018.

[125] იხ. ზემოთ. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა იწვევს დაჯარიმებას 250 ლარიდან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

[126] იხ. ზემოთ.

[127] საიას შუალედური ალტერნატიული ანგარიში CEDAW-ს, 19.09.2016. საიას მიერ ჩატარებული 5 ფოკუს-ჯგუფი და 2 შეხვედრა 30 სექსმუშაკთან 2016-2018 წლებში.

[128] სექსმუშაკების საჭიროებების გამოვლენისა და დისკრიმინაციის გამომწვევი ფაქტორების კვლევა, ჰერა XXI, 2014.

მიუხედავად ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებისა, სექსმუშაკების მიმართვიანობა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე უკიდურესად დაბალია. ეს გამოწვეულია რეპრესიული კანონმდებლობით, სტატუსის გამჟღავნების შიშით, სამართალდამცავ ორგანოთა მიმართ უნდობლობით, თავად სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი ძალადობის ფაქტებითა (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოძალადისგან დასაცავად პოლიციას მიმართეს) და შურისძიების შიშით, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული თავად პოლიციელის მიერ არის ჩადენილი.[129]

2017 წლის მანძილზე კვლავ პრობლემური იყო პოლიციელების მიერ ტრანსგენდერ სექსმუშაკთა თვითნებური დაკავება. დაკავება, რიგ შემთხვევაში, ე.წ. „პლეშკის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ხდებოდა და აღნიშნული ზომა უმეტესად გამოიყენებოდა მას შემდეგ, რაც სექსმუშაკები პოლიციას იძახებდნენ ჰომო/ტრანსფობიური დანაშაულების შესახებ შეტყობინების მიზნით. სექსმუშაკებს, დახმარების აღმოჩენის ნაცვლად, აკავებდნენ წვრილმანი ხულიგნობის ან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის მუხლით (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები). ასეთი გამოცდილება პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ტრანსგენდერ სექსმუშაკთა მხრიდან პოლიციისთვის მიმართვიანობაზე და ხშირად განსაზღვრავს თემის სხვა წევრების გადაწყვეტილებას, მიმართონ თუ არა პოლიციას მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში.[130]

[129] იხ. ზემოთ.

[130] ინტერსექციური დისკრიმინაცია და ლგბტი ადამიანები - სამართალწარმოების ანგარიში, WISG. 2018.

რეკომენდაციები:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან მოხდეს პროსტიტუციის მუხლის ამოღება (მუხლი 172[3]), გენდერული ძალადობის შემთხვევებში სექსმუშაკთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პოლიციელთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღსაკვეთად;
- შემაკავებელი და დამცავი ორდერების პრაქტიკაში გამოყენება უნდა მოხდეს სექსმუშაკებზე კლიენტების მხრიდან ძალადობის შემთხვევებშიც, ამასთან, ორდერების მოქმედებამ უნდა მოიცვას გენდერული ძალადობის მსხვერპლი ტრანსგენდერი სექსმუშაკი ქალებიც;
- მოხდეს სექსმუშაკთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების ეფექტური გამოძიება და დასჯა, განსაკუთრებით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებში. ასევე, გატარდეს ეფექტური ღონისძიებები დანაშაულის პრევენციის მიზნით;
- აღმოიფხვრას სექსმუშაკებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის უკანონო დაკისრების პრაქტიკა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და ხულიგნობის ფაქტებზე;
- მოხდეს პოლიციის, პროკურატურის თანამშრომლების, მოსამართლეებისა და ადვოკატების გადამზადება სექსმუშაკთა მიმართ გენდერული ძალადობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებზე და ჰომოფობიური და ტრანსფობიური წინასწარგანწყობების შეცვლის მიზნით;
- სახელმწიფო ებრძოლოს პროსტიტუციის გამომწვევ ძირითად მიზეზებს მოწყვლად ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და მხარდაჭერის სერვისებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მეშვეობით.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკა და ხედვა განსაზღვრას საჭიროებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) 1998 წლის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, რომელიც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებას შეეხება, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები ექცევიან იძულებით გადაადგილებულ პირთა დეფინიციაში. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ეს დოკუმენტი არ არის სავალდებულო ძალის მქონე, იგი განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებს, თუ როგორ უნდა იმოქმედონ სახელმწიფოებმა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების უზრუნველსაყოფად. გარემოში მომხდარი ცვლილებების გამო გადაადგილებულ პირებს, ქვეყნის შიგნით, სხვა მიზეზებით ადგილნაცვალ პირებთან აიგივებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაც.[131]

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი სტიქიური მოვლენების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს თავისი მოქმედების სფეროში არ აქცევს. ამ კანონის მიხედვით, იძულებით გადაადგილებული პირი არის მხოლოდ ის, ვინც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო დატოვა.[132] შესაბამისად, ამ კანონით, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის განსაზღვრული დაცვის გარანტიები, ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებულ პირებზე არ ვრცელდება. მათ საკითხს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანება არეგულირებს. სწორედ ეს ბრძანება[133] ადგენს ეკომიგრანტი ოჯახის დეფინიციას და მათთვის განსახლებისა და საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის წესს.

[131] იხ. 1998 წლის გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების შესახებ; იხ. ასევე, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2010 წლის მოხსენება მსოფლიო მიგრაციის შესახებ, გვ. 73-74.

[132] მუხლი 6, პუნქტი 1-ლი.

[133] იხ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანება „სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების კრიტერიუმების დამტკიცებისა და განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისიის შექმნის შესახებ“.

2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ, რომელსაც 23 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა და ათეულობით ადამიანის საკუთრება გაანადგურა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ მინისტრის ზემოაღნიშნული №779 ბრძანება არ ქმნის სრულყოფილ გარანტიებს ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის დასაცავად თუ აღსადგენად. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ 13-14 ივნისის მოვლენებზე რეაგირება, დაზარალებულთა განსახლება, კომპენსაცია და დაზიანებული ქონების რეაბილიტაცია ადგილობრივ თვითმმართველობას დაეკისრა, მაშინ, როცა, მოქმედი კანონმდებლობით, ეს სამინისტროს მოვალეობას წარმოადგენდა.[134] სტიქიის შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად თბილისის საკრებულომ დაჩქარებულ რეჟიმში შეიმუშავა და მიიღო 2015 წლის 5 ივლისის №17-66 დადგენილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, 215 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრებლით უზრუნველყოფის, უძრავი ქონების დათმობისა და სხვა სახის ფულადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნულმა დადგენილებამ გაითვალისწინა დაზარალებულთა განსხვავებული კატეგორიები და საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ასევე, სხვადასხვა სახის ზიანის ანაზღაურებისთვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანებისგან განსხვავებული წესი.

მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა/ოჯახთა ნაწილი კვლავ განაგრძობს დავას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით,[135] თბილისის საკრებულოს მიერ შემუშავებული დახმარების გაცემისა და ზიანის ანაზღაურების წესი გაცილებით სრულფასოვნად მოიცავდა დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებს, რასაც ვერ ვიტყვით სამინისტროს მიერ დადგენილ იმ ზოგად წესზე, რომლითაც სახელმწიფო, როგორც წესი, ეკომიგრანტებს უწევს დახმარებას და რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფას გულისხმობს.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ადგილნაცვალი ადამიანები არიან იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებსაც,

[134] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 22 თებერვლის №34 დადგენილება, მუხლი 7, პუნ. 41.

[135] იხ. „2015 წლის 13-14 ივნისის სტიქიით მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის მობილიზებული თანხებისა და რესურსების ხარჯვის პროცესის მონიტორინგი“, ანგარიში, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“.

განსახლებასთან ერთად, სხვა საჭიროებებიც გააჩნიათ, ხშირ შემთხ-ვევაში, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. ამიტომ, აუცილებელია ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განვითარება, რომელიც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად იძუ-ლებით გადაადგილებულ მოსახლეობას ერთგვაროვანი სოციალური გა-რანტიებით უზრუნველყოფს.

რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ შეიმუშაოს ერთიანი პოლიტიკა და ხედვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;
- სახელმწიფომ მიიღოს ზომები, რათა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და ადგილნაცვალი მოსახლეობა სარგებლობდეს ისეთივე სოციალური გარანტიებით, როგორითაც კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირები.